პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. კ. (ბ) შინაგანაწილი კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ХШრა, 11 აგვისტო, 1946 წ. № 161 (7684). ფასი 20 კაპ.

ДИАД САЗУШАОТА ПРОГРАМА

Дღეს ჩვენ ვბეჭდავთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიის მიერ ძალებულ კანონს ჩვენი რეპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლებია ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ეს კანონი, რომელიც შედგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად, უდიდესი მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტია. ის განსაზღვრავს საქართველოს შრომელთა სიბრძოლო ამოცანებს 5 წლისათვის. ის თვითეულ შრომელს ნათელ წარმოდგენას აძლევს თუ როგორი იქნება ჩვენი რესპუბლიკა 5 წლის შემდეგ, ის უდიდესი დამოუკიდებელი, მორაგანიზებული და მამობილიზებელი ძალაა. ის უდიდესი სიამაყის გრძნობით ალაკავებს ჩვენი ბუმფიის, კლუბებისა, ინტელიგენციის ყველა საბჭოთა საშობლოსადმი, ბოლშევიკებს გმირული პარტიისადმი, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი.

მხოლოდ ძმალვარ ალბოთა საშობლოს, რომელსაც წარმართავს ბოლშევიკური პარტია დიდი სტალინის მეთაურობით, შეეძლო გიენდგერეს ბრძოლა მსოფლო რეაქციის შავბნელი ფაშიზტური ძალები, მოეპოვებინა ისტორიაში უბადალითო გამარჯვება, დაემყარებინა მშვიდობიანობა და შესდგომოდა კომუნიზმის შენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

მხოლოდ ხალხთა სტალინური მეგობრობით შედეგიებულ დიდ საბჭოთა ოჯახში დამკვიდრებულ ჩვენს რესპუბლიკას შეეძლო 5 წელში განსაზღვრეულებლად დაეცალა ესოდენ დიდი ამოცანები სახალხო მეურნეობისა, კულტურისა, მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგში.

ჩვენი რესპუბლიკის ხუთწლიანი გეგმის კანონი მიგეთითებს, რომ „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ომის შედეგები, აღდგინოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვანი ოდენობით გადააჭარბოს ამ დონეს".

რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიან გეგმას?

ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ საქართველოს ინდუსტრია მას ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს. გეგმა თვალისწინებს ჩვენი მრეწველობის არა მხოლოდ უბრალო აღმავლობას, არამედ ინდუსტრიის საფუძველთა საფუძველს —მეტალურგიის შექმნას. ხუთწლიან ბოლოსათვის ამიერკავკასიის მეტალურგიულმა კომბინატმა, რომლის შენებლობაც წარმატებით მიმდინარეობს, უნდა მოგვცეს: თუჯი—330 ათასი ტონა, ფოლადი—185 ათასი ტონა, კოქსი—450 ათასი ტონა. მეტალურგიული კომბინატის შენებლობა ახალ ამოცანებს სახავს მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე. საჭიროა ქნება მეტი ქვანახშირი, მეტი ელექტროენერგია, მეტალურგია მეტი კადრები, მეტი პროდუქტები და საკვები. ყოველივე ეს გეგმით გათვალისწინებულია. აშენდება ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც ხუთწლედის ბოლოს 15 ათას ცალ სამგზავრაბენილან სპარაგო ავტომანქანას. გამოუშვებს. განვითარდება და გაიზრდება ძმიმე ინდუსტრიის არსებული საწარმონი. ყოველივე ეს მტკიცე ბაზა იქნება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

მეორე, ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი თვალისწინებს საქართველოს სფეკვრეო, ბუფეტი, კვების, სატყეო, საშენ მასალათა, აღდგინერიგი მრეწველობის არა მარტო ომამდელი დონის მიღწევას, არამედ მის მნიშვნელოვან გადაჭარბებასაც. ხუთწლედის ბოლოს საფეკვრო მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების ომამდელ დონეს უნდა გადააჭარბოს 28,8 პროცენტით, მუფუქმა მრეწველობამ—25,4 პროცენტით, ადგილობრიგმა მრეწველობამ, სარეწო კოოპერაციამ და ინვალიდთა კოოპერაციამ—26,6 პროცენტით. კვების მრეწველობა 1945 წელთან შედარებით ხუთწლედის ბოლოსათვის გაორდებს: გამომცხვარი პურის გამოშვებას—60 პროცენტით, სამაჭარლო ნაწარმისას—სამჯერ, ზეთისას—ერთთორად, სარეცხი სპირისას—ორნახევარჯერ, პაპიროსისა—ერთთორად, ჩაისა—თითქმის სამჯერ, ღვინისას—ერთთორად და მეტად და სხვ. ასეთივე ზრდა გათვალისწინებულია მრეწველობის ყველა დარგში. ყოველივე ეს მტკიცე ბაზა იქნება მოხმარების საგნებით და პროდუქტებით მშრომელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

მესამე, ჩვენი ხუთწლიანი გეგმის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე აჰყავს საქართველოს სოფლის მეურნეობა. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ სწრაფი ტემპით გაიზრდება ძვირფასი სუტრომეიანელი, ტექნიკური და მარცვლეული კულტურების —ჩაის, ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის, ტუნგის, პურეულის, ვენახის, ბოხტოს, თამბაქოს და სხვათა ფართობი, რომ გადიდდება ყველა სახის პირეუყვის რაოდენობა, თუმცა ამ ბრივ დასახული ამოცანებიც დიდი და მნიშვნელოვანია. საქმე, უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ გადაკრით ამაღლდება სოფლის მეურეობის კულტურა, უფრო ფართოდ დაინერგება მეცნიერების მიღწევანი, გაეფეკობეოდება მეცნიერთა და ცხოველთა ჯიშები. სარწყავი სისტემის შენებლობის უმაგალითო ბასშტაბი, ეკობიანი ადგილების ამოშრობა სამეშოთა ფიდი გაკანონა, სამეშოთა სულ მეტი და მეტი მექანიზაცია, საკოლმეურნეო ელექტროსადგურების ფართო შენებლობა ნნიშვნელოვან აამაღლებს ყველა კულტურის მოსავლიანობას, ანალ, მიმზიდველ სახეს მისცემა ჩვენს სოფელს.

მეოთხე, ჩვენი ხუთწლიანი გეგმის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი თვალისწინებს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა გადაკრით ამაღლებას. დიდი ომამაკენთ ომა პეროიდში ჩვენი ხალხი ბევრ რამეს იკლებდა, რათა ეზრუნველეყო გმირი წითელი არმია ყოველივე ამით, რაც საჭირო იყო მტერზე გამარჯვებისათვის. ახლა, როცა გამარჯვება მოპოვებულია, შვიდობიანი შენებლობის ხუთწლეკი მიზნად ისახავს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ომამდელი დონის არა მარტო აღდგენას, არამედ მის მნიშვნელოვან გადაჭარბებასაც. ხუთწლედის ბოლოსათვის უნდა შეიტანოს მოხმარების ძირითადი საგნების საუფეკი, უდიდესი სამეშოთები ჩატარდება ახალი საცხოვრებელი სახლების შენებლობის და ძველის რემონტისათვის, ჩვენი ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობისა და გამშვენიერებისათვის.

მეხუთე, ჩვენი ხუთწლიანი გეგმის დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი თვალისწინებს მეცნიერების, ხელოვნების, კულტურის მძლავრ აღმავლობას, შრომელთა ჯანმრთელობის დაცვისათვის ზრუნვის გაძლიერებას, აშენდება ახალი სკოლები, სამეცნიერო დაწესებულებები, თეატრები, კინოები, კლუბები, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები, პოლიკლინიკები, ამბულატორიები და სხვ. ხუთწლედის ბოლოს გვეყოლება მეტი მეცნიერული კადრები, მაღალკვალიფიციური პედაგოგები, მეტი ექიმები. კულტურა სწრაფი ნაბიჯით წავა წინ.

ახალი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად ჩვენი რესპუბლიკა კიდევ უფრო ძლიერი, ლამაზი, მაშვიდეული გახდება. საბჭოთა კავშირის ხალხთა დიად ოჯახში საქართველოს შუბამ ეკიროა ერთერთი პირველი ადგილი. ეს ადგილი მამავალ შიც მტკიცედ ეკავება. ამის საწინდარია ახალი ხუთწლედი.

საქართველოს სს რესპუბლიკის ახალი ხუთწლიანი გეგმის კანონი ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის საბრძოლო პროგრამაა. ამ პროგრამას უნდა იცნობდეს ყოველი მშრომელი. პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ფართოდ მოაწყოს კანონის პოპულარიზაცია, დარაზმონ მასები ხუთწლეკის პირველი წლის დიდ ალაბამთ ბოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სამშობლოს, ბოლშევიკური პარტიის, ხალხთა ბელადის დიდი სტალინისადმი უაზეიერო ერთგულების სულისკვეთებით ამხანაგ ლავრენტი პავლესაძე ბეჭრის მიერ აღზრდილი საქართველოს ხალხი უეჭველია წარჩატებით შეასრულებს ახალ ხუთწლიან გეგმას. ეს უტყვეი რწმენა კარგად გამოხატა პოეტმა:

> განა სად იქმნება სტალინის ხელმა
> დამაბნის ნაგრგა და არ ახარხარ!—
> რამდენიც გვიდგიხარ ამდენ ხარხს, გაგზნილთ,
> იმდენ ბრძოლაა და იმდენ მხეარხარ!

გაუმარჯოს ახალ სტალინურ ხუთწლედს!

დიდება ჩვენი გამარჯვებების შემომქმედს შშრომლიურ სტალინს!

---

12 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, ქერენსკის ხახელობის კლუბში (ბულიკის ქ. № 4) მოწვეულია მშრომელთა დეპუტატების

თბილისის საქალაქო საბჭოს XV სესია

დეპუტატების რეგისტრაცია: ოქრამიეს ქერენსკის ხახელობის კლუბში საღამოს 6 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კ ა ნ ო ნ

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

I

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანები

ომი სამამული ომი, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი, დამთავრდა საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით ფაშისტ დამპყრობლებსა და იაპონელ იმპერიალისტებზე.

ეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება, რომელიც მოპოვებული ია დიდი **სტალინის** გენიალური წინამძღოლობით, შეესაძლებელი გახდა სამი ატლანტიკი ხუთწლედის წარმატებით განხორციელების მეოხებით, რამაც ჩვენი ქვეყანა ძლიერ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაიქცია.

როგორც მშვიდობიანი შენებლობის პერიოდში, ისე სამამული ომის წლებშიც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი და წარმართველი ძალა იყო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების). ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დიდი **სტალინის** ბრძოლელი ხელმძღვანელობით გატარებულმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლოტიკამ უზრუნველჰყო სოციალისტური წყობილების გამარჯვება. ჩვენს ქვეყანაში უკვე აგებულია სოციალისტური საზოგადოება და შექმნილია პირობები სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადაადილისათვის.

ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განუხრელად განხორციელების საფუძველზე და დიდი რუსი ხალხის დახმარებით, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეკონომიურ და კულტურულ აყვავებია მიაღწია.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის მუდმივი პირადი დახმარებითა და ყურადღებით ქართველმა ხალხმა მიაღწია სახალხო მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას, რესპუბლიკის ინდუსტრიალიზაციას და სოფლის მეურნეობის ახალი დარგების შექმნას.

მახალი მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1940 წელს 26-ჯერ და ყიდვე მიტად გადააჭარბა 1913 წლის დონეს.

ომამდელია მრეწველობის ახალი დარგებია: ელექტრომეტალურგია, ნავთის მომოვებელი და ნავთის გადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, ქიმიური, ცემენტის, ქაღალდის, შალფულის, ჩაის, შაქრის მრეწველობისა და სხვა დარგები.

1940 წელს მოპოვებულია 625 ათასი ტონა ქვანახშირი ანუ თითქმის 9-ჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს, 1.448,7 ათასი ტონა ნავთი და ნავთი ანუ 50 პროცენტით მეტი, ვიდრე 1913 წელს.

ლითონდამამუშავებელი ქარხნების პროდუქცია 1927-1928 წლის 9 მილიონი მანეთიდან 1940 წელს 151,5 მილიონ მანეთამდე გადიდდა.

ამავე პერიოდში შალფულის ქსოვილების წარმოება გადიდდა 16-ჯერ, აბრეშუმის ქსოვილისა—89-ჯერ, ფეხსაცმლისა—43-ჯერ, კონსერვისა — 22-ჯერ, ბაიხოს ჩაისა—43-ჯერ.

საქართველოს ელექტროსადგურთა საერთო სიმძლავრემ 1940 წლის დამლეგს მიაღწია 180,6 ათას კილოვატს 1913 წლის 8,9 ათასი კილოვატის ნაცვლად.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე სოფლის მეურნეობის დარგში მოიმატა ულიდესი ცვლილების მეოხებით საქართველო გადაიქცა, ძვირფასი სპეციალური და ტექნიკური კულტურების ქვეყანად.

ნათესი ფართობი 1940 წელს 1923 წელთან შედარებით თითქმის ნახევარკეცად, ხოლო ტექნიკური კულტურების ფართობი 6,5-ჯერ გადიდდა. ჩაის პლანტაციებმა 49.636 ჰექტარის მიაღწია 1927 წლის 1.017 ჰექტარისა და 1913 წლის 894 ჰექტარის ნაცვლად.

მოუხედავად იმისა, რომ 1941 წლის ძლიერი ყინვების შედეგად ციტრუსების ნარგავთა მნიშვნელოვანი ნაწილი დაიოკვა, ამიგამად ციტრუსოვან კულტურათა ფართობი 19.000 ჰექტარზე მეტს შეადგენს 1932 წლის 2.000 ჰექტარის ნაცვლად.

საქართველო ჩაის და ციტრუსოვანთა ნაყოფის ძირითადი მომწოდებელია საბჭოთა კავშირის მშრომელთათვის.

გადიდდა ვენახებისა და ხეხილის ბაღების ფართობი, ფართოდ დაინერგა ახალი კულტურები — ტუნგო, ეკალიპტი, ეფეროვანი მცენარეები და სხვ.

რესპუბლიკის დიდი მიღწევები აქვს კომუნალური მეურნეობის, ჯანმრთელობისა დაცვისა და კულტურული შშრომელთან. ბევრად გადიდდა სასწავლებელთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

თუ 1913 წელს მხოლოდ 5 ქალაქს ჰქონდა წყალსადენი, 1940 წელს წყალსადენი ჰქონდა უკვე 22 ქალაქს, ამასთან წყალსადენის ქსელის საერთო სიგრძე 1913 წლია 148,6 კილომეტრიდან 1940 წელს 613,4 კილომეტრამდე გადიდდა, ხოლო ქალაქების მოსახლეობისათვის წყლის საშუალო საღღეღამისო მიწოდება ამავე პერიოდში გადიდდა 11-ჯერ. თითქმის ერთისამად გადიდდა კანალიზაციის ქსელიც.

აგებულია ასეული ათასობით კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი.

საავადმყოფო საწოლთა რიცხვი 1940 წელს 13.806-ს მიაღწია 1920 წლის 1.093 საწოლის ნაცვლად, საექიმო ამბულატორიებისა და პოლიკლინიკების რიცხვი 1.477 ედგიდა 1920 წლის 117-ის ნაცვლად.

დაწყებული და საშუალო სკოლებია რიცხვი 1921 წელთან შედარებით თითქმის ერთიოთხად გადიდდა. თუ 1921 წელს საქართველოში მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პერიოდში შეიქმნა 20 სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებელი.

აღეთვე ტემპებით ვითარდებოდა მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგი აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

ქართველმა ხალხმა, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, ბნაშენელოვანი წელილი შეიტანა ჰიტლერულ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე გამარჯვების უზრუნველყოფის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შექმნილმა საქართველოს სამრეწველო საწარმოებმა და კოლმეურნეობებმა თავიანთი მოშობის სამხედრო ყადაღზე ვარდაქმენეს და ჩვენს მამაც წითელ არმიას მნიშვნელოვანი ოდენობით აწვდიდნენ შეიარაღების საგნებს, საჭიროებას, სამაჯარ მასალასა და სურსათს.

დიდი სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრებამ შესაძლებლობა მისცა საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს კვლავ შესდგომოდნენ მშვიდობიან სოციალისტურ შენებლობას, რაც შეწყვეტილი იყო ჰიტლერული გერმანიის ვერაგული თავდასხმით.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს სამეურნეო და კულტურული შენებლობის დიდ პროგრამას საქართველოს სს რესპუბლიკაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონია შესაბამისად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აღნენშნავს, რომ **საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანაა აღმოფხვრას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში ომის შედეგები, აღდგინოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ მნიშვნელოვანი ოდენობით გადააჭარბოს ამ დონეს.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო სსრ კავშირის ხუთწლიანი გეგმის კანონით თანახმად ამოცანების აფიდძალეზი საქმიროდ სთვლის:

1. უზრუნველყოფილ იქნს შემდგომი მსკალური განვითარება საქართველოს მძიმე მრეწველობისა: მეტალურგიისა და ქვანახშირის მრეწველობისა, ავტომობილშენებლობისა, მარგანეცის მოპოვებისა, აგრეთვე ჰიდროელექტროსადგურთა შენებლობის ფართოდ განაღება.

2. მიღწეულ იქნას რესპუბლიკაია სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობა, მისი უმნიშვნელოვანესი ტიპებია: სუბტროპიკული მეურნეობის შეკენაბობის, მეხილეობის, მეთამბაქოობის, მეაბრეშუმეობის განმტკიცება და შემდგომი განვითარება, ამასთან ყოველმხრივ განვითარდეს მარცვლეული მეურნეობა და მეცხოველეობა.

3. უზრუნველყოფილ იქნას სამრეწველო და სასურსათო საქონლის წარმოების განუხრელი ზრდა შშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად და რესპუბლიკაში მოხმარების ძირითადი საგნების სიუხვის შესაქმნელად.

4. უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შემდგომი ტექნიკური პროგრესი, როგორც წარმოების მძლავრი აღმავლობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების პირობა.

5. 1946 წელს დამთავრდეს სახალხო მეურნეობა ომისშემდგომი გარდაქმნა და საწარმოების გადასვლა შვიდობიანი დროის პროდუქციის გამოშვებაზე.

6. უზრუნველყოფილ იქნას დაგროვების მაღალი ტემპები, რისთვისაც განისაზღვროს ცენტრალიზებულ კაპიტალური დაბანდებათა მოცულობა ხუთწლედში 591 მილიონი მანეთის რაოდენობით საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის განვითარებისათვის.

სსტტ‌ბეტრად განმტკიცდეს ინტენსიკური და ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაციები, უზრუნველყოფილ იქნას მათი ადეკვატი სამშენებლო მექანიზმებითა და სატრანსპორტო საშუალებებით, შეიქმნას მშენებელ ბუმთა მოდმეი კადრები.

7. ფფრო ფართოდ გაჩაღდეს მშენებლობა ქალაქად და სოფლად, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საცხოვრებელი ფონდის გადიდებას, სახელმწიფო დახმარება გაიწიოს მოშებს, გლეხებსა და ინტელიგენციას ინდივიდუალური სახლნი მშენებლობაში.

უზრუნველყოფილ იქნას კომენალური მეურნეობის შემდგომი განვითარება, გაუმჯობესდეს ქალაკებისა და რაიონული ცენტრების ელექტრონომმარაგება, გაფართოვდეს წყალადენების, ბანაობისა, კანალიზაციის ქსელი, გადიდდეს ტრამვაი-ტროლეიბუსის პარკი.

8. გადაჭარბებულ იქნას სახალხო მეურნეობის ომამდელი დონე, აგრეთვე სახალხო მოხმარების დონე, ამ მიზნით ყოველმხრივ განვითარდეს კვების მრეწველობა და ფარფო მოხმარების საგნების წარმოება; გადიდდეს საკოლმეურნეო შემოსავალი, განაზარდოს საქონლობრივი კულტურული საბჭოთა ეკონომის გაშლის საფუძველზე.

9. განმტკიცდეს მრეწველობაში და ტრანსპორტზე მუშათა მუდმივი კადრები შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და საწარმოებში უკეთესი სანიაო და მატერიალური პირობების უზრუნველყოფიას საფუძველზე; უზრუნველყოფილ იქნას მაღალკვალიფიციური ტექნიკური კადრების ზრდა შრომითი რეზერვების მომზადების გაფართოებისა და ახალი მუშების სწავლების გზით.

10. გადიდდეს შრომა ნაყოფიერება რვა საათის სამუშაო დღის სრული გამოყენების, მრეწველობია შრომატევადი დარგების ყოველმხრივი მექანიზაციისა, ავტომატი მეურნეობის შემდგომი ელექტროფიკაციისა და საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისა საფუძველზე.

11. გაუმჯობესდეს ჯანმრთელობის დაცვის საქმე, გადიდდეს საავადმყოფო საწოლთა რიცხვი და გაფართოვდეს პოლიკლინიკების, ამბულატორიებისა, ქალთა და ბავშვთა კონსულტაციებისა ქსელი; შეიქმნას სანაფრო ბაღების ახალი ქსელი, მეტადეე სოფლად. უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს კურორტების აღდგენა, კეთილმოწყობა და შემდგომი ზრდა.

12. გაფართოვდეს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, უზრუნველყოფილ იქნას საბავშვო ბაღების რაოდენობის შემდგომი ზრდა.

გაუმჯობესდეს სკოლების მაგვშოა სწავლების ხარისხი მასწავლებელთა კადრების მომზადებია გაუმჯობესებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების გზით.

13. მიღწეულ იქნას ქართული საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების შემდგომი აყვავება. გაფართოვდეს კულტურის სახლების, კინოების, ბიბლიოთეკების, კლუბების ქსელი ქალაქებსა და სოფელ ადგილს. უზრუნველყოფილ იქნას რაიონული სახელმწიფო თეატრების განმტკიცება მაახლობთა და რეკონსტრა კადრებით და ყოველმხრივ შეეწყოს ხელი თვითმოქმედი ხელოვნების განვითარებაა საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

14. განმტკიცდეს ფინანსური და კრედიტის სისტემა სახალხო მეურნეობაში. რისთვისაც ამაღლდეს მნიშვნელობა მოგებისა და სამეურნეო ანგარიშისა, როგორც წარმოების ზრდის დამატებითი ფაქტორისა; პროდუქციის თვითღირებულების შემცირებია გზით გადიდდეს წარმოების ყველა დარგის მომგებიანობა; გაძლიერდეს სამეურნეო ორგანიზაციებს ინტერესი შინაგანი რეკერვების მოპოვებისაა. ოთმეურნეობის რეკონისა და უყაირანათობით და უნაყოფო ხარჯებით გამოწეული დანაკარგების გადამწყვეტი ლიკვიდაციისადმი; მეშა-მოსამსახურეთა ხელფასნი გადიდდეს საწარმოო დაკანონებია მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიების წესი.

15. ყოველმხრივ განვითარდეს ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქისა და რაიონების სამეურნეო ინიციატივა საწარმოო ძალთა განვითარების საქმეში.

უზრუნველყოფილ იქნას რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, საწენ ბასალთა, სფეკვრეო, ბუფეტი, კვების მრეწველობისა და სარეწო კოოპერაციის ყოველმხრივი განვითარება, მეტადეე სუფსათისა და ფარფო მოხმარების საგნების, რესპუბლიკური და ადგილობრივი მეურნეობისათვის საშეი ბასალეთ-ბის, ლითონის ნაწარმისა და მოწყობილობის წარმოების გადიდება.

16. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ემყოფილებით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონი ზურუნველყოფს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონით დაწესებულია შემდეგი დავალებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში:

სამრეწველო პროდუქციის ძირითადი სახეების წარმოების გეგმა 1950 წლისათვის:

თუჯი (ათას ტონობით)	330
ფოლადი (ათას ტონობით)	185
ქვანახშირი (ათას ტონობით)	2.400
ნავთი (ათას ტონობით)	110
ელექტრონერგია (მილიონ კილოვატსაათობით)	1.300
მარგანეცის მადანი (ათას ტონობით)	2.040
კოქსი (ათას ტონობით)	450
ავტომობილები (ათას ცალობით)	15
ლითონსაჭრელი ჩარხები (ცალობით)	1.700
ციმენტი (ათას ტონობით)	115
შალის ქსოვილები (ათას მეტრობით)	3.795

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

აბრეშუმის ქსოვილები (ათას მეტრობით)	6.830
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	9.500
მცენარეული ზეთი (ტონობით)	3.500
ღვინო (ათას დეკალიტრობით)	1.550
ჩაი — პირველადი დამუშავება (ტონობით)	17.900
ფხვნილი შაქარი (ათას ტონობით)	13,5
ხორცი (ათას ტონობით)	14,0
ერბო-კარაქი (ტონობით)	1.000
თევზხიზილა (ტონობით)	5.500

კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა 1946-1950 წლებში 4.120 მილიონი მანეთის რაოდენობით, მათ შორის რესპუბლიკური დაქვემდებარების მეურნეობაში 591 მილიონი მანეთის რაოდენობით.

აშენდეს ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა, აშენდეს და ამოქმედდეს 3,2 მილიონი ტონის საერთო სიმძლავრის ქვანახშირის შახტები. მომზადდეს 1946-1950 წლებში ჭიათურის საბადოს მარგანეცის მადნის სამრეწველო მარაგი 30 მილიონი ტონის რაოდენობით. მომზადდეს ახალი საშახტო მშენებლობისათვის 6,8 მილიონი ტონის სიმძლავრის ქვანახშირის 22 უბანი და გადიდდეს ნავთის სამრეწველო მარაგი 340 ჭაბურღილ-წერტით.

აშენდეს და ამოქმედდეს ოთხი ჰიდროელექტროსადგური 169 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა და განხორციელდეს 21,5 ათასი კილოვატის სიმძლავრის მცირე ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობა. აშენდეს ახალი ორთქლმავალსარემონტო ქარხანა და საავტომობილო ქარხანა.

დაწესდეს ნათესი ფართობი 1950 წლისათვის 937 ათასი ჰექტარის ოდენობით.

გადიდდეს ჩაის პლანტაციების ფართობი 57,5 ათას ჰექტარამდე, ამასთან სავსებით უზრუნველყოფილ იქნას ეს ფართობი მინერალური სასუქით. გადიდდეს ციტრუსოვან და სხვა კულტურათა ფართობი. გაშენდეს 1946-1950 წლებში ციტრუსოვანთა ახალი პლანტაციები 11 ათასი ჰექტარის რაოდენობით, მათ შორის 3 ათასი ჰექტარი ფორთოხალი, 3 ათასი ჰექტარი ლიმონი. მნიშვნელოვნად განვითარდეს მეხილეობა და მევენახეობა; გადიდდეს ეთერ-ზეთოვანი კულტურების ფართობი; უზრუნველყოფილ იქნას მეაბრეშუმეობის შემდგომი ზრდა.

განახლდეს კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაო და საექსპლოატაციოდ გადავიდეს 20 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა. გაფართოვდეს სარწყავი არხების ქსელი და დამთავრდეს აჯამეთის, დოლლაურის ველის, ქეხვისა და დოეს-გრაკლის არხების მშენებლობა. გაჩაღდეს სამგორის სარწყავი სისტემისა და ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობის სამუშაოები.

პირუტყვის სულადობა 1950 წლის დამლევისათვის განისაზღვროს შემდეგი რაოდენობით: ცხენი—120 ათასი სული, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი—1.744 ათასი სული, ცხვარი და თხა—2.900 ათასი სული, ღორი—711 ათასი სული.

დამთავრდეს ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის კანონის შესაბამისად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ მომზადებული საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა და დაწესდეს ამ პერიოდისათვის შემდეგი დავალებანი საქართველოს სსრ რესპუბლიკურ და ადგილობრივ მეურნეობაში:

II

წარმოების ზრდისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმა

მრეწველობის დარგში

1. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქციის წარმოების გეგმა 1950 წლისათვის 1.100,0 მილიონი მანეთის მოცულობით (1926-1927 წლის უცვლელ ფასებში), მათ შორის სახელმწიფო და კოოპერაციული მრეწველობის ხაზით — 933.267 ათასი მანეთი; საერთო პროდუქციის გამოშვება 1950 წელს 1940 წელთან შედარებით გადიდდეს 27,6 პროცენტით.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ყველა სამინისტროს და უწყების რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის ძირითად სახეთა წარმოების გეგმა 1950 წლისათვის შემდეგი ოდენობით:

აგური (მილიონ ცალობით)	98,3
კრამიტი (მილიონ ცალობით)	23,6
კირი (ათას ტონობით)	86,1
თაბაშირი (ათას ტონობით)	10
ცეცხლგამძლე ნაწარმი (ათას ტონობით)	15
სამასალე მერქანი (გამოზიდვა) (ათას კუბმეტრობით)	50
შეშა (გამოზიდვა) (ათას კუბმეტრობით)	120
დახერხილი მასალა (ათას კუბმეტრობით)	22
ავეჯი (მილიონ მანეთობით)	14
პიანინო (ცალობით)	1.000
აბრეშუმის ქსოვილი (ათას მეტრობით)	6.510
შალის ქსოვილი (ათას მეტრობით)	3.080
ბამბის ქსოვილი (ათას მეტრობით)	3.815
ფეხსაცმელი (ათას წყვილობით)	3.990
მცენარეული ზეთი (ათას ტონობით)	3,5
ერბო-კარაქი (ტონობით)	1.000
ყველი (ათას ტონობით)	2
ხორცი (ათას ტონობით)	14
პაპიროსი (მილიონ ცალობით)	5.535
ბაიხაის ჩაი პირველი დამუშავებისა (ათას ტონობით)	17,9
ღვინო (ათას დეკალიტრობით)	1.550*)
მინერალური წყლები (მილიონ ლიტრობით)	17,1
პურ-ფუნთუშის ნაწარმი (ათას ტონობით)	210
საკონდიტრო ნაწარმი (ათას ტონობით)	12
ტურბინი (ცალობით)	100
ლითონის საწოლი (ათას ცალობით)	35
მოთუთიებული ჭურჭელი (ტონობით)	1.200
სიცხის გამძლე ჭურჭელი (ათას ლიტრობით)	300
სამშენებლო ლურსმანი (ტონობით)	2.710
შაბიამანი (ტონობით)	2.100

3. ცენტრალიზებულ კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა საქართველოს სსრ რესპუბლიკურ და ადგილობრივ მრეწველობაში დაწესდეს 207 მილიონი მანეთის რაოდენობით.

4. უზრუნველყოფილ იქნას საშენ მასალათა მრეწველობის ყოველმხრივი განვითარება და გაფართოება. 1950 წელს აგურის წარმოება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდეს 93 პროცენტით, კრამიტისა — 204 პროცენტით, კირისა — 58 პროცენტით, ცარცისა — 15 პროცენტით და გაჯისა — 8-ჯერ.

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით: აშენდეს და ამოქმედდეს მშრალი და სველი წნეხვის ორი აგურ-კრამიტის ქარხანა თითო 14 მილიონი ცალი აგურისა და 2 მილიონი ცალი კრამიტის სიმძლავრისა; განხორციელდეს გურჯაანის, სამტრედიის, ლანჩხუთისა და ზუგდიდის აგურის ქარხნების მექანიზაცია, უზრუნველყოფილ იქნას საყალიბო და საშრობი მეურნეობის გაფართოება.

აშენდეს და ამოქმედდეს ცემენტის ქარხანა წელიწადში 25 ათასი ტონა პორტლანდ-ცემენტის სიმძლავრისა. მოეწყოს თეძამის ტუფის მოპოვება 50 ათასი კუბური მეტრი საკედლე ცალობითი ქვისა და კასპის ცემენტის ქარხნის საჭიროებისათვის 40 ათასი კუბური მეტრი სასაძირკვლე ქვის რაოდენობით. აშენდეს გრანიტის მოპოვებისა და დამუშავების მექანიზებული საწარმო.

ჩატარდეს საშენი ცალობითი და სასაძირკვლე ქვის მოპოვების დამუშავების მექანიზაცია ეკლარ-კვახჭირის კარიერებზე.

*) გარდა ამისა „შამპანკომბინატში"—180 ათასი დეკალიტრი, აქედან „საბჭოთა შამპანური"—320 ათასი დეკალიტრი.

აშენდეს და ამოქმედდეს თაბაშირის ქარხანა წყალთბილაში (ახალციხის რაიონი) წელიწადში 10 ათასი ტონა თაბაშირის სიმძლავრისა.

რაიონული მრეწველობის ხაზით: აშენდეს და ამოქმედდეს აგურის ახალი ქარხნები წელიწადში 29 მილიონი ცალი აგურის საერთო სიმძლავრისა, კრამიტის ქარხნები წელიწადში 5,5 მილიონი ცალი კრამიტის სიმძლავრისა.

სარეწაო კოოპერაციის ხაზით: აღდგენილ იქნას და გაფართოვდეს არსებული აგურ-კრამიტის ქარხნები, აგრეთვე აშენდეს აგურის ახალი ქარხნები 6 მილიონი ცალი აგურის სიმძლავრისა და კრამიტის ქარხნები 3,1 მილიონი ცალი კრამიტის სიმძლავრისა.

5. **სატყეო მრეწველობის ხაზით:** სამასალე მერქნისა და შეშის გამოზიდვა 1950 წელს გადიდდეს 1940 წელთან შედარებით 15,9 პროცენტით, მათ შორის სამასალე მერქნის გამოზიდვა 39,7 პროცენტით.

ჩატარდეს ახმეტის წიფლის სატყეო მასივის სამრეწველო ათვისების სამუშაოები და გაყვანილ იქნას 27 კილომეტრი სიგრძის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა; დამთავრდეს სადმელის სატყეო მასივის სამრეწველო ათვისების სამუშაოები და გაყვანილ იქნას 10 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა. დაწყებულ იქნას ცოდის სატყეო აგარაკის სამრეწველო ათვისება და გაყვანილ იქნას 15 კილომეტრი სიგრძის საავტომობილო გზა, აგრეთვე განძა-ეწერის სატყეო მასივის სამრეწველო ათვისება და გაყვანილ იქნას 9 კილომეტრი სიგრძის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა.

გაფართოვდეს ხისდამმუშავებელი მრეწველობა, განსაკუთრებით ავეჯისა, 1950 წელს გაორკეცდეს ავეჯის გამოშვება.

1950 წელს 1945 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდეს მცხეთის ასანთის ფაბრიკის მიერ ასანთის გამოშვება.

გადაჭრით გაუმჯობესდეს საქართველოს სატყეო მეურნეობა, უზრუნველყოფილ იქნას ფართო ღონისძიებათა გატარება ახალი სატყეო კულტურების, სანერგეების და შკოლების გაშენებისა და ტყის განახლებისათვის.

ხუთწლედის მანძილზე მთლიანად შემოერგოს შესაფერისი ჯიშის ტყის კულტურა საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებს, აგრეთვე სარწყავი არხების ქსელს.

შემუშავდეს და განხორციელდეს ტყის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ეფექტიანი ღონისძიებანი.

გაშენდეს ტყის კულტურები 12.900 ჰექტარზე, სანერგეები—362,5 ჰექტარზე.

განხორციელდეს 18.000 ჰექტარზე ტყის ბუნებრივი განახლების ხელშემწყობი ღონისძიებანი და 1.113 ათას ჰექტარზე ტყის მოწყობის ღონისძიებანი.

6. **საფეიქრო მრეწველობის** ხაზით: 1950 წელს საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობის ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნას 28,8 პროცენტით და 1950 წელს აბრეშუმის ქსოვილთა გამომუშავება 1940 წელთან შედარებით გადიდდეს 22,4 პროცენტით, შალეულისა — 49,8 პროცენტით და გრეჟისა—4,4 პროცენტით.

1947 წელს ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში ამუშავდეს პირველ სართავი ფაბრიკა ნართის დასამზადებლად ამოხვეული აბრეშუმის ნარჩენებისაგან 44 ტონა „ბურდე-სუას" ნართის სიმძლავრისა, 11 ათას თითისტარიანი აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა და ბამბის საქსოვი ფაბრიკა 200 საფეიქრო დაზგით; ფაბრიკა 1950 წელს 3.600 ათას მეტრ ბამბეულს გამოუშვებს.

განხორციელდეს თბილისის კამვოლ-მაუდის ფაბრიკის რეკონსტრუქცია და გაფართოება, დამატებით დაიდგას 107 საფეიქრო დაზგა და 3.840 სართავი თითისტარი, უზრუნველყოფილ იქნას ამ ფაბრიკაში 2.200 ათასი მეტრი შალეულის ქსოვილის გამოშვება, აქედან 1.100 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი წმინდა მაუდის ქსოვილისა.

რეკონსტრუირებულ და გაფართოებულ იქნას ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, რისთვისაც შეიცვალოს გაცვეთილი მოწყობილობა და ფაბრიკის სიმძლავრე გადიდდეს 650 ათას მეტრ შალეულის ქსოვილამდე წელიწადში.

რეკონსტრუირებულ იქნას თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამღებრო-გამოსაყვანი წარმოება და მისი სიმძლავრე გადიდდეს 6 მილიონ მეტრ ქსოვილამდე წელიწადში.

აღდგენილ იქნას შულავრის ბამბის საწმენდი ქარხანა. დამთავრდეს მშენებლობა თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხნის მაქოებისა და კოჭების წარმოების საამქროთი საფეიქრო მოწყობილობის სამარაგო ნაწილებისა და დეტალების წარმოების მოსაწყობად.

გაუმჯობესდეს გამოშვებული ქსოვილის ასორტიმენტი, აბრეშუმსაქსოვ მრეწველობაში გადიდდეს ნატურალური აბრეშუმის ქსოვილის გამომუშავება.

წმინდა აბრეშუმის ქსოვილის (ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის) ხვედრითი წონა ქსოვილების საერთო გამოშვებაში 1950 წელს გადიდდეს 68,7 პროცენტამდე, ნაცვლად 1945 წლის 19,4 პროცენტისა.

7. **მსუბუქი მრეწველობის** ხაზით: 1950 წელს გადიდდეს საერთო პროდუქციის წარმოების მოცულობა 25,4 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით.

გადიდდეს 1950 წელს ფეხსაცმლის გამოშვება 1940 წელთან შედარებით 29,0 პროცენტით, შეკერილი ნაწარმისა—22,8 პროცენტით.

რეკონსტრუირებულ იქნას და გაფართოვდეს ტყავის ქარხნები ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, სოხუმსა და ქუთაისში. განხორციელდეს საწარმოო პროცესების კონვეიერიზაცია თბილისის (№ 7 ფაბრიკა), ქუთაისისა და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკებში.

გაფართოვდეს რეზინის ლანჩის წარმოება თბილისის პლასტრეზინის ქარხანაში. მოეწყოს სასარაჯო ფაბრიკაში ცხენის აკაზმულობის წარმოება.

გაუმჯობესდეს მსუბუქი მრეწველობის ნაწარმთა ხარისხი და გამოყვანა.

მოეწყოს კალაპოტ-ქუსლების წარმოება იმ მოცულობით, რაც დააკმაყოფილებს ფეხსაცმლის რესპუბლიკურ და ადგილობრივ საწარმოთა მთელ მოთხოვნილებას საქართველოში.

გაფართოვდეს ფეხსაცმლისა და ტყავ-საგალანტერიო მრეწველობისათვის ფერადი ტყავის საქონლის წარმოება.

დაწყებულ იქნას ახალი საგალანტერიო ფაბრიკის მშენებლობა ქალაქ თბილისში.

8. **კვების მრეწველობის ხაზით:** მიღწეულ იქნას წარმოების ომამდელი დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება; გაუმჯობესდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხი და გაფართოვდეს ასორტიმენტი.

1950 წელს გადიდდეს ჩაის პირველადი დამუშავება 17.900 ტონამდე ნაცვლად 1940 წლის 15.435 ტონისა.

უზრუნველყოფილ იქნას მზა ბაიხაის ჩაის განწონვა 1.800 ტონის რაოდენობით და აგურა ჩაის გამოშვება 3.500 ტონის რაოდენობით.

ხუთწლედში აშენდეს და ამუშავდეს ახალი ჩაის ფაბრიკები, რომელნიც 10.500 ტონა მწვანე ფოთოლს გადაამუშავებენ წელიწადში.

1950 წელს 1945 წელთან შედარებით ერთიორად გადიდდეს სუფრის ღვინოების წარმოება, მათი გამოშვება აყვანილ იქნას 1.550 ათას დეკალიტრამდე.

დასაძველებელი ღვინოების ფონდი გადიდდეს 1950 წელს 700 ათას დეკალიტრამდე, უზრუნველყოფილ იქნას მარკიანი ღვინოების ხვედრითი წონის გადიდება.

უზრუნველყოფილ იქნას თბილისსა, გურჯაანსა და წინანდალში ღვინის ქარხნებისა და სარდაფების აშენება, რომლებიც ერთდროულად შესძლებენ 660 ათასი დეკალიტრი ღვინის შენახვას.

აშენდეს პირველადი მარნები თელიანში, კონიაკის აპარატურიანი მარანი შილდაში, ქვევრებიანი მარნები შრომასა და ველისციხეში, მარნები ობჩასა, სიმონეთსა, მანავსა და ბახვში, 365 ათასი დეკალიტრის საერთო სიმძლავრისა.

დამთავრდეს ზეიდრის, ვაქირის, ანაგისა და ტიბაანის მარნების მშენებლობა.

გაშენდეს ორი ახალი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა თელიანსა და დიღომში.

ხუთწლედის განმავლობაში აშენდეს და ამუშავდეს პურის ქარხნები დღე-ღამეში 160 ტონა პურ-ფუნთუშის ნაწარმის საერთო სიმძლავრისა თბილისსა, ქუთაისსა, გორსა, ფოთსა და ბათუმში.

დაწყებულ იქნას მშენებლობა და ნაწილობრივ ამუშავდეს ახალი საკონდიტრო კომბინატი თბილისში 12,5 ათასი ტონა საკონდიტრო ნაწარმის სიმძლავრისა წელიწადში.

საკონდიტრო ნაწარმის გამოშვება 1950 წელს გადიდდეს 11.000 ტონამდე და ასორტიმენტში გათვალისწინებულ იქნას შოკოლადის ნაწარმის გამოშვების გადიდება.

გადიდდეს საჭმელი ზეთის გამოშვება 1950 წელს 13 პროცენტით 1940 წელთან შედარებით, მათ შორის ტუნგოს ზეთისა—5,7-ჯერ.

ამუშავდეს ოჩამჩირის ტუნგოს ზეთსახდელი ქარხანა დღე-ღამეში 20 ტონა ტუნგოს ნაყოფის გადამუშავების სიმძლავრისა და აშენდეს ტუნგოს სახმობი და გასაშრენდი 10 პუნქტი.

აშენდეს ახალი საპნის ქარხანა 10 ათასი ტონა სარეცხი საპნის სიმძლავრისა, რომელსაც ექნება ხელის საპნის საამქრო 1.000 ტონა სიმძლავრისა წელიწადში.

პაპიროსის გამოშვება ომამდელ დონესთან შედარებით გადიდდეს 19,5 პროცენტით.

1950 წელს გაორკეცდეს 1940 წელთან შედარებით ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების გამოშვება. ამუშავდეს ბათუმში ახალი ლუდის ქარხანა წელიწადში 50 ათასი ჰექტოლიტრის სიმძლავრისა, აგრეთვე ლუდის ქარხნები ტყვარჩელსა, ტყიბულსა და სტალინირში.

აშენდეს თბილისში და ამუშავდეს ხილის წყლებისა და ნატურალური სიროფების კომბინატი.

სამკურნალო მინერალური წყლების ჩამოსხმა გადიდდეს 17,1 მილიონ ლიტრამდე, მათ შორის ბორჯომის წყლისა—15 მილიონ ლიტრამდე.

განხორციელდეს ბორჯომისა და ივჟალის შუშის ქარხნების რეკონსტრუქცია და მექანიზაცია და 1950 წელს ბოთლის წარმოება აყვანილ იქნას 20 მილიონ ცალამდე.

1950 წელს გადიდდეს 1940 წელთან შედარებით ერბო-კარაქის გამომუშავება 207,7 პროცენტით, ყველისა — 33,3 პროცენტით, მოუხდელი რძის პროდუქციისა—100 პროცენტით და ნაყინისა—66,7 პროცენტით.

დამთავრდეს და ამუშავდეს ორგანოთერაპიული პრეპარატების ქარხანა თბილისში.

აშენდეს რძის ახალი კომბინატი ქალაქ თბილისში 50 ტონა რძის სიმძლავრისა დღე-ღამეში და 10 მექანიზებული ერბო-კარაქისა და ყველის ქარხანა რაიონებში.

9. **ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ხაზით:** ძირითად ამოცანად ჩაითვალოს მაღალხარისხოვანი ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

დამტკიცდეს 1950 წლისათვის ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საერთო პროდუქციის გამოშვების მოცულობა 265 მილიონი მანეთის რაოდენობით (1926-1927 წლის ფასებით)—ზრდა 1940 წელთან შედარებით 26,6 პროცენტს უდრის.

დაწესდეს ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის მიერ 1950 წელს ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გეგმა 197,6 მილიონი მანეთის რაოდენობით (1926-1927 წლის ფასებით)—ზრდა 1940 წელთან შედარებით 24,4 პროცენტი.

გადიდდეს რაიონული დაქვემდებარების მრეწველობის პროდუქციის გამოშვება 1950 წელს 66,0 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

გაფართოვდეს ფართო მოხმარების ლითონის ნაკეთობის წარმოება, მნიშვნელოვნად გადიდდეს წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის (თოხი, სეკატორი, ტრემასი, ბაღის ხერხი, სამყნობი დანა, საბორდიურე მაკრატელი და სხვა) გამოშვება.

მოეწყოს ფართო მოხმარების ახალი ნაწარმების — ალუმინის ჭურჭლის, ნავთქურების, ლუმელის ხელსაწყოს, საკოლმეურნეო ფარნებისა და მაგიდის ელექტრონათურების წარმოება.

გადიდდეს 1950 წელს პიანინოს გამოშვება 1945 წელთან შედარებით 11-ჯერ, ავეჯისა—190 პროცენტით, ფეხსაცმლისა—200 პროცენტით, ბამბეული, შალეული და აბრეშუმის ქსოვილებისა—ერთიოთხად, წინდებისა—5,5-ჯერ, ტრიკოტაჟის თეთრეულისა—4,5-ჯერ, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაფართოვდეს შეკერილი და საგალანტერიო საქონლის და სასკოლო-საკანცელარიო ნივთების წარმოება.

აღდგენილ იქნას საფეიქრო მოწყობილობის და აბრეშუმის მრეწველობის მოწყობილობის წარმოება.

აღდგენილ იქნას და განვითარდეს ხალიჩების ქსოვა.

გაფართოვდეს არამადნეული წიაღისეულის (დიატომიტი, ტალკი), მშრალი მიწის საღებავების მოპოვება.

ადგილობრივ მრეწველობაში აშენდეს და ამუშავდეს: ზომა-წონის ხელსაწყოს ქარხანა თბილისში 5.000 ცალი სასაქონლო და სამაგიდო სასწორის წარმადობისა; მომინანქრებული ჭურჭლის საამქრო ბათუმის მომთუთიებელ ქარხანაში 500 ტონა სხვადასხვა მომინანქრებული ჭურჭლის წარმადობისა წელიწადში; სიცხეგამძლე ჭურჭლის ქარხანა 300 ათასი ლიტრი სხვადასხვა სამეურნეო ჭურჭლის წარმადობისა წელიწადში.

ქალაქ წულუკიძის ფაბრიკაში მოეწყოს ჩარჩოიანი სკების, აგრეთვე გრეხილი ავეჯის წარმოება; უზრუნველყოფილ იქნას მეფუტკრეობის ინვენტარის გამოშვება.

მოეწყოს ანდეზიტის (მჟავათა გამძლე) ქვის სამრეწველო მოპოვება და დამუშავება ბაკურიანში და გაყვანილ იქნას რკინიგზის შტო საბადომდე.

სარეწაო კოოპერაციის სისტემაში აშენდეს და ამუშავდეს შაბიამნის ქარხანა წელიწადში 2.000 ტონა შაბიამნის სიმძლავრისა.

მოეწყოს პლასტრეზინის საწარმო წელიწადში 150 ტონა ნაწარმის სიმძლავრისა.

ფართოდ დაინერგოს ადგილობრივი მრეწველობის, სარეწაო კოოპერაციისა და ინვალიდთა კოოპერაციის საწარმოებში მექანიზაცია და წარმოების მოწინავე ტექნოლოგიური მეთოდები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ხარისხის გაუმჯობესებას.

10. გაფართოვდეს პოლიგრაფიული მრეწველობა და საგამომცემლო საქმე, ომამდელ დონესთან შედარებით ერთიორად გადიდდეს პოლიგრაფიულ საწარმოთა წარმადობა.

დამატებით აღიჭურვოს სტამბები ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში, გაუმჯობესდეს წიგნებისა და ჟურნალების პოლიგრაფიული გაფორმება, გაფართოვდეს ფერადი და მრავალფეროვანი ნაბეჭდი პროდუქციის გამოშვება.

აშენდეს თბილისში პოლიგრაფიული საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებლის შენობა 200 მოსწავლისათვის.

11. ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად განმტკიცდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამშენებლო ორგანიზაციები.

განვითარდეს სამშენებლო ორგანიზაციათა საწარმოო ბაზა—კარიერები, სარემონტო სახელოსნოები, საშენი დეტალების დამამზადებელი საწარმოები.

12. უზრუნველყოფილ იქნას შრომის ნაყოფიერების გადიდების და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, აგრეთვე სამშენებლო სამუშაოთა ფასის შემცირების გზით იმ დავალებათა შესრულება, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის კანონით.

სოფლის მეურნეობის დარგში

13. სოფლის მეურნეობის დარგში ძირითადი ამოცანაა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცება და საერთო და სასაქონლო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადიდება სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად და რესპუბლიკის ქალაქებისა და სამრეწველო რაიონების მოსახლეობის მოსამარაგებლად. ამ მიზნით აუცილებელია მიღწეულ იქნას მიწათმოქმედებაში მოსავლიანობის და მეცხოველეობაში პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდება, რათა 1950 წელს გადაჭარბებულ იქნას ომამდელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დონე.

14. 1950 წლისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში დაწესდეს ნათესი ფართობები შემდეგი ოდენობით:

(ათას ჰექტარობით)

	სულ	მათ შორის კოლმეურნეობებში
მთელი ნათესი ფართობი	937,0	800,0
მათ შორის:		
მარცვლეული კულტურები	746,0	629,0
ტექნიკური კულტურები	48,0	46,0
მათ შორის:		
თამბაქო	16,0	16,0
ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურები და კარტოფილი	44,0	30,0
საკვები კულტურები	99,0	95,0

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(გაგრძელება)

15. აღდგენილ და შემოღებულ იქნას აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სწორი თესლბრუნვა ბალახთესვის გამოყენებით, ფართოდ იქნას გამოყენებული პარკოსანი და თავთავიანი მრავალწლიანი ბალახების ნარევი, აგრეთვე უზრუნველყოფილ იქნას ანეულის დროზე მოხვნა და კარგი დამუშავება.

გაუმჯობესდეს სასელექციო და სამეთესლეო მუშაობა; განვითარდეს მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოება იმ ოდენობით, რაც მთლიანად უზრუნველჰყოფს მეურნეობათა მოთხოვნილებას მიღებულ თესლბრუნვათა მიხედვით თესვისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას მარცვლეული, მარცვლეულ-პარკოსანი, ზეთოვანი, ტექნიკური და სხვა კულტურების ნათესები მაღალხარისხოვანი სელექციური თესლით და ადგილობრივი გაუმჯობესებული ჯიშის რჩეული თესლით.

დამთავრდეს გადასვლა მარცვლეული კულტურების მთლიან ჯიშობრივ თესვაზე ჯიშობრივი დარაიონების გეგმის შესაბამისად; განვითარდეს და დაინერგოს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ახალი, უფრო მოსავლიანი ჯიშები.

16. 1950 წლისათვის უზრუნველყოფილ იქნას საერთო მოსავლის აღება: მარცვლეულისა—895.2 ათასი ტონის რაოდენობით და მისი საშუალო მოსავლიანობა აყვანილ იქნას 12 ცენტნერამდე ჰექტარზე, მზესუმზირისა—17,1 ათას ტონამდე, მისი მოსავლიანობა აყვანილ იქნას 9,5 ცენტნერამდე ჰექტარზე. კარტოფილისა—195,5 ათას ტონამდე, მისი მოსავლიანობა გადიდებულ იქნას 85 ცენტნერამდე ჰექტარზე.

17. ერთწლიანი ტექნიკური კულტურების ხაზით ხუთწლედის დამლევისათვის უზრუნველყოფილ იქნას საერთო მოსავლის აღება: შაქრის ჭარხლისა—96 ათასი ტონის რაოდენობით და მისი მოსავლიანობა აყვანილ იქნას 160 ცენტნერამდე ჰექტარზე, ნედლი ბამბისა—1,8 ათას ტონამდე, მისი მოსავლიანობა აყვანილ იქნას 9 ცენტნერამდე ჰექტარზე. თამბაქოსი—13.6 ათასი ტონის რაოდენობით და მისი საშუალო ჯიშობრივი მოსავლიანობა აყვანილ იქნას 8.5 ცენტნერამდე ჰექტარზე.

18. მრავალწლიანი ტექნიკური კულტურების ხაზით გაუმჯობესდეს არსებული პლანტაციების მოვლა. უზრუნველყოფილ იქნას დაღუპული და გამეჩხერებული პლანტაციების რემონტი და აღდგენა, გადიდდეს მათი ფართობი ახალი პლანტაციათა გაშენების გზით.

ხუთწლედის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნას ახალ ნარგავთა გაშენება და ფართობის გადიდება 1950 წელს შემდეგ ოდენობამდე:

	საერთო ფართობი ათას ჰექტარობით	მათ შორის ახლად გაშენებული ათას ჰექტარობით
ჩაი	57,5	6,0
ციტრუსები	29,0	11,0
აქედან:		
ლიმონი	8,2	3,0
ფორთოხალი	4,6	3,0
მანდარინი	16,2	5,0
ვენახი	70,C	11,0
ხეხილის ბაღი	91,3	15,1
ტუნგო	16,7	4,4
კეთილშობილი დაფნა	3,5	1,5
თუთის ნარგავები (მთლიანი)	1,6	1,0

ამასთან ერთად ხუთწლედის განმავლობაში დაირგოს 7,7 მილიონი ძირი თუთის ხე და 32,7 მილიონი ევკალიპტი, 1950 წელს ევკალიპტის ხის რაოდენობა აყვანილ იქნას 40 მილიონამდე და ცალკე მდგომი თუთის ნარგავებისა—21 მილიონ ძირამდე.

1950 წელს ჩაის მწვანე ფოთლის საერთო მოსავლის აღება აყვანილ იქნას 70 ათას ტონამდე, მათ შორის ძირითადი ფოთლისა—60 ათას ტონამდე და უხეშისა—10 ათას ტონამდე.

დაწესდეს 1950 წლისათვის ყურძნის მოსავალი 40 ცენტნერის რაოდენობით ჰექტარზე.

19. დამთავრდეს ტორფ-ფეკალის ორი ქარხნის მშენებლობა ბათუმსა და ფოთში და ტორფ-ფოსფატის ორი ქარხნის მშენებლობა ქობულეთსა და ზუგდიდში. უზრუნველყოფილ იქნას ტორფ-ფეკალისა და ტორფ-ფოსფატის სასუქის ფართოდ გამოყენება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

გაძლიერდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლა. განხორციელდეს ციტრუსოვან კულტურათა, ვენახებისა და ხეხილის მავნებლებთან და დაავადებასთან ბრძოლის სპეციალური ღონისძიებანი.

20. მნიშვნელოვნად გადიდდეს სარწყავი ფართობები. უზრუნველყოფილ იქნას სარწყავი ფართობების გადიდება 80 ათასი ჰექტარით და მათი რეკონსტრუქცია. აშენდეს და რეკონსტრუირებულ იქნას შემდეგი სარწყავი სისტემები: ალაზნის, დოლლაურის ველის, ტირიფონის, აჯამეთის, სალთვისის, კეხვის, დოეს-გრაკლისა და სკრა-ქარელის, მუხრანისა და თეძი-ოკამის სარწყავი არხებისა.

1950 წლისათვის უზრუნველყოფილ იქნას 8,6 ათასი ჰექტარის ამოშრობა. ჩატარდეს ენგურ-ხუმუშკურის, ტიკორ-ენგურის, სეთიეთ-ვედითკარის, ცხენი-გეჯეთის, ხიბულის მასივების, ერწო-თიანეთის მიწებისა და კახაბრის ველის ამოშრობის სამუშაოები.

გაუმჯობესდეს სარწყავი სისტემების ტექნიკური ექსპლოატაცია, უზრუნველყოფილ იქნას არხების დროული რემონტი და გაწმენდა, საინჟინრო ნაგებობათა წესიერი მოვლა და სარწყავი წყლის მომჭირნეობით ხარჯვა.

21. უზრუნველყოფილ იქნას მინდვრის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის შემდგომი ზრდა, რისთვისაც:

სოფლის მეურნეობა მომარაგდეს ტრაქტორებითა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, რომლებიც საჭიროა ნიადაგის დამუშავების მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებისათვის, მცენარეთა მოვლისა და მოსავლის აღებისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მრავალწლიანი ნარგავების (ჩაი, ციტრუსები, ვენახები, ხეხილი და სხვ.) მწკრივთაშორისი დამუშავებისა და მკურნალობის მექანიზაციას.

22. საქართველოს სსრ რაიონებში ფართოდ გაიშალოს მცირე ჰიდროსადგურების მშენებლობა, რისთვისაც გამოყენებულ იქნას როგორც ბუნებრივი მდინარეები, ისე საირიგაციო არხების ჩანჩქერები.

ხუთწლედში აშენდეს მცირე ჰიდროსადგურები 21,5 ათასი კილოვატის საერთო სიმძლავრისა.

უზრუნველყოფილ იქნას არსებული და მშენებლობის პროცესში მყოფი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების სრული დატვირთვა ახალი სატრანსფორმატორო კიოსკების მშენებლობისა და დაბალვოლტიანი და მაღალვოლტიანი ქსელის მშენებლობის გზით.

23. უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება და მნიშვნელოვნად იქნას გადაჭარბებული ყველა სახის პირუტყვის სულადობის ომამდელი დონე.

დაწესდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში 1950 წლის დამლევისათვის პირუტყვის სულადობის შემდეგი რაოდენობა:

(ათას სულობით)

	სულ	მათ შორის კოლმეურნეობებში
ცხენი	120	47
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1.744	730
ცხვარი და თხა	2.900	1.800
ღორი	711	91

ხუთწლედის განმავლობაში ცხენის სულადობა 1945 წელთან შედარებით გადიდდეს 43 პროცენტით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა—17 პროცენტით, ცხვრისა და თხისა—41 პროცენტით, ღორისა—52 პროცენტით.

მოეწყოს ახალი სახელმწიფო ჯიშსაშენები და საჯიშე ფერმები კოლმეურნეობებში, გაუმჯობესდეს პირუტყვის ჯიშიანობა ყველაზე უფრო პროდუქტიული ცხოველების შერჩევის გზით, აგრეთვე პირუტყვის მაღალპროდუქტიული მწარმოებლებით მეტიზაციის საშუალებით.

გაუმჯობესდეს პირუტყვის ძოვება ბუნებრივი საძოვრების სწორი გამოყენების ორგანიზაციის გზით და აშენდეს იქ ჭები, საცხოვრებელი და საწარმოო შენობები, პირუტყვის გადასარეკი გზები და შეიქმნას ზამთრის საძოვრებზე საკვების მარაგი.

დაწესდეს 1950 წლისათვის საშუალოდ რესპუბლიკაში ერთი საფურაქე ძროხის წველადობა 650 კილოგრამის და ერთი ცხვრის ნაპარსი 2,6 კილოგრამის რაოდენობით.

უზრუნველყოფილ იქნას მეაბრეშუმეობის შემდგომი ზრდა, გადიდდეს 1950 წელს აბრეშუმის პარკის საერთო მოსავალი 3.440 ტონამდე. ერთი კოლოფი თესლის საშუალო მოსავლიანობა 1950 წელს გადიდდეს 43 კილოგრამამდე ნაცვლად 1945 წლის 40,6 კილოგრამისა.

გაფართოვდეს მეფუტკრეობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 1950 წელს კოლმეურნეობებში გადიდდეს 1945 წელთან შედარებით 123 პროცენტით. მიღებულ იქნას ზომები მეფუტკრეობის პროდუქტიულობის ასამაღლებლად.

მეფრინველეობის ფერმების გაფართოებასთან ერთად ყოველნაირად შეეწყოს ხელი კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა ინდივიდუალური მეფრინველეობის განვითარებას.

24. მიღებულ იქნას ღონისძიებანი, რათა გადიდდეს კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი დოვლათი — განუყოფელი ფონდები, ნაგებობანი, პირუტყვი, ინვენტარი, აგრეთვე დასაზღვევი, სათესლე და საფურაჟე ფონდები.

უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებისა და საკოლმეურნეო საკუთრების დაცვა, არ იქნას დაშვებული სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევა.

კოლმეურნეობებში გადიდდეს შრომის ნაყოფიერება შრომის სწორი ორგანიზაციის, კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილებაში შრომადღის როლის განმტკიცებისა და ამაღლების საფუძველზე; განმტკიცდეს კოლმეურნეობებში ბრიგადები და რგოლები, გამოყენებულ იქნას ინდივიდუალური და ჯგუფური სანარდო მუშაობა.

ფართოდ ტარდებოდეს კოლმეურნეთა შრომის დამატებითი ანაზღაურება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, პირუტყვის სულადობის გამოზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა მეურნეობებში მნიშვნელოვნად გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, აგრეთვე შემცირდეს პროდუქციის თვითღირებულება.

25. გაუმჯობესდეს სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებათა შემუშავებისა და დანერგვის მიმართულებით, ახალი, უფრო მოსავლიანი ყინვაგამძლე ჯიშების ციტრუსოვანი კულტურების გამოყვანისა და პირუტყვის მაღალპროდუქტიული ჯიშების მოშენების მიმართულებით. დაევალოთ სამეცნიერო ორგანიზაციებს ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებასა და დანერგვას, უფრო ფართოდ დაამუშაონ სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, ელექტროფიკაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხები.

უზრუნველყოფილ იქნას მეცნიერების შემდგომი განვითარება სუბტროპიკული და საერთო მეხილეობის, ჩაის, ტექნიკური მრავალწლიანი კულტურების, მეფუტკრეობისა და მეაბრეშუმეობის დარგში.

გაფართოვდეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურებისა და მეცხოველეობის სამინისტროთა საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება. 1950 წელს საშუალო სპეციალური სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების მოსწავლეთა კონტინგენტი აყვანილ იქნას 5,78 ათას კაცამდე.

დაწესდეს მოცულობა სოფლის მეურნეობის ცენტრალიზებული კაპიტალური სამუშაოებისა მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურების, წყალთა მეურნეობისა და მეცხოველეობის სამინისტროების ხაზით 140 მილიონი მანეთის ოდენობით.

ავტოტრანსპორტის, ავტოსაგზაო მეურნეობისა და კავშირგაბმულობის დარგში

26. 1950 წელს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთზიდვა აყვანილ იქნას 1.126,7 ათას ტონამდე და ტვირთბრუნვა 24.788,8 ათას ტონა-კილომეტრამდე, 1940 წლის ტვირთზიდვის დონე გადაჭარბებულ იქნას 3,5-ჯერ.

აღდგენილ იქნას საავტობუსო გზებზე მგზავრთა რეგულარული გადაყვანა ომამდე მოქმედი ყველა მიმართულებით და 1950 წელს მგზავრთა გადაყვანის მოცულობა 1940 წელთან შედარებით გადიდდეს 3-ჯერ.

მოეწყოს მოსახლეობის სატვირთო, სამგზავრო და მსუბუქი ტაქსომოტორებით მომსახურება ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში.

განმტკიცდეს ავტოსარემონტო ბაზა, ხუთწლედის განმავლობაში 1945 წელთან შედარებით 3,5-ჯერ გადიდდეს ავტომობილების რემონტი საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში. აშენდეს და ამუშავდეს ქალაქ თბილისში სამგზავრო ავტობაზა.

27. ხუთწლედის განმავლობაში აშენდეს და ამუშავდეს ოთხი რესპუბლიკური გზა: ჩოხატაური-ბახმარო, მაიაკოვსკი-საირმე-დიდმაღალა, ცაგერი-ოფიტარა-წყალტუბო, მუხური-ლუგელა.

ჩატარდეს რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტოსაჭაპანო გზების რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი, მათ შორის ძირულა-ხარაგოულის, მელაან-ჯურჯაან-თელავ-ახმეტისა და ვაზიან-სიღნაღ-ლაგოდეხის გზებისა.

გაუმჯობესდეს ავტოსაჭაპანო გზების მიმდინარე რემონტი და მოვლა, უზრუნველყოფილ იქნას საგზაო მეურნეობა ათისთავების, გზის ოსტატების, ბრიგადირებისა და მერემონტეების კადრებით.

გზის მშენებლობის სამუშაოებში გაიზარდოს მექანიზაციის ხვედრითი წონა საგზაო მეურნეობაში ტრაქტორების, ავტომობილებისა და საგზაო მექანიზმების რაოდენობის გადიდებით.

ჩატარდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის ავტოსაჭაპანო გზების გამწვანების სამუშაოები არსებული და მშენებლობის პროცესში მყოფი გზების გაყოლებით ხის მალე მზარდი ნარგავების გაშენების საშუალებით.

28. განხორციელდეს 101 სოფლის საბჭოს და 10 საბჭოთა მეურნეობის ტელეფონიზაცია. ამასთან დაკავშირებით გაყვანილ იქნას 791 კილომეტრი ახალი ხაზი და რკინის საყრდენები 2.572 კილომეტრზე. რეკონსტრუირებულ იქნას 27 რადიოსატრანსლაციო კვანძი და მათი სიმძლავრე 1950 წელს აყვანილ იქნას 34.915 ვატამდე ნაცვლად 1940 წლის 12.472 ვატისა; გაიზარდოს 1950 წელს რადიოწერტილების რაოდენობა 35 ათასი ერთეულით და რადიოსატრანსლაციო წერტილების საერთო რიცხვი რესპუბლიკაში აყვანილ იქნას 100,6 ათას ერთეულამდე. გადიდდეს რადიოფიკაციის ხაზების სიგრძე ხუთწლედში 400 კილომეტრით.

* * *

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების გეგმა

1. პროდუქციის გამოშვების გადიდების, საქონელბრუნვის გაშლის, მშრომელთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარჯების გადიდების, მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასის გადიდების, კოლმეურნის შრომადღის ნატურალური და ფულადი საზღაურის გადიდებისა და ყველა საქონლის ფასის თანდათანობითი შემცირების საფუძველზე არა მარტო აღდგენილ, არამედ ხუთწლედის მანძილზე კიდევაც გადამეტებულ იქნას ხალხის კეთილდღეობის ომამდელი დონე.

2. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 1950 წელს 77,5 ათასი კაცის რაოდენობით და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ფონდი 422,2 მილიონი მანეთის რაოდენობით.

შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად გადიდდეს მუშა-მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასი და 1950 წელს გადააჭარბოს 1940 წლის დონეს.

გაუმჯობესდეს მუშათა შრომის სანარდო-პროგრესიული ანაზღაურების სისტემა, აგრეთვე სისტემა ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების პრემირებისა საწარმოო გეგმების მთლიანად და ვადაჭარბებით შესრულებისათვის, სისტემატურად გაიზარდოს პრემიების მნიშვნელობა ხელფასში.

გაფართოვდეს მრეწველობაში ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების გამოყენება, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული მოწინავე ტექნოლოგია და შრომის გაზრდილი ტექნიკური აღჭურვილობა. შრომის ნორმირების საქმე მიენდოს ინჟინრებისა და ტექნიკოსების გამოცდილ კადრებს. ჩატარდეს წარმოებაში შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი (უშიშროების ტექნიკა, ვენტილაცია, განათება, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო აღდგომები).

გაიშალოს წარმოებაში მასობრივი პროფესიების კვალიფიციური კადრების ფართოდ მომზადება ინდივიდუალური, ბრიგადული და კურსობრივი სწავლების გზით.

კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ზრდის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების საფუძველზე კოლმეურნეთა შრომადღის ნატურალური და ფულადი საზღაური გადიდდეს 1940 წელთან შედარებით.

უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს საწარმოთა უზრუნველყოფა მუშათა კვალიფიციური და მუდმივი კადრებით წარმოების შემდგომი მექანიზაციის, აგრეთვე მუშათა შრომის ორგანიზაციის, მომარაგებისა და საბინაო პირობების სისტემატური გაუმჯობესების საფუძველზე.

3. კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის ხაზით: საყოველთაო სავალდებულო სწავლებაში ჩაბმულ იქნას ყველა ბავშვი 7 წლის ასაკიდან, სკოლაში გაუმჯობესდეს ბავშვების სწავლებისა და აღზრდის ხარისხი.

დაწესდეს, რომ 1950 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უნდა ჰქონდეს 4.333 დაწყებითი, 8-წლიანი და საშუალო სკოლა, მათ შორის ქალაქებში 334 და სოფელ ადგილებში 3.999.

ხუთწლედის განმავლობაში აშენდეს 18 საქალაქო სკოლა 9.440 მოსწავლისათვის.

დაწესდეს, რომ 1950 წელს სკოლებში უნდა იყოს 748,3 ათასი მოსწავლე, მათ შორის ქალაქებში 190,5 ათასი და სოფელ ადგილებში—557,8 ათასი მოსწავლე.

მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების ფართო ორგანიზაციის საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას ახალგაზრდობის იმ ნაწილის სწავლება, რომელსაც სამამულო ომის პირობებში არ შეეძლო ნორმალური განათლება მიეღო სკოლაში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობა 1950 წელს აყვანილ იქნას 9,1 ათასამდე და სპეციალური საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რაოდენობა 6,3 ათასამდე.

ამაღლდეს უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის კადრების მომზადების ხარისხი.

მთლიანად უზრუნველყოფილ იქნას სკოლების მოთხოვნილება სახელმძღვანელოებზე და მნიშვნელოვნად გადიდდეს საბავშვო მხატვრული და მეცნიერულ-პოპულარული ლიტერატურის გამოშვება.

გაფართოვდეს კინოთეატრებისა და საკლუბო-საბიბლიოთეკო დაწესებულებათა ქსელი. კინოდანადგართა რაოდენობა 1950 წელს აყვანილ იქნას 500-მდე. უზრუნველყოფილ იქნას თვითეული რაიონული ცენტრი და საქალაქო ტიპის დაბა სტაციონარული კინოდანადგარით; მნიშვნელოვნად გაფართოვდეს სოფლად სტაციონარული კინოქსელი; კინოსეანსები სოფლის აბონენტებში გაიმართოს სულ მცირე 3-ჯერ თვეში. უხმო კინოდანადგარები მთლიანად შეიცვალოს ხმოვანი კინოდანადგარებით.

თბილისში (26 კომისრის სახელობის რაიონი), სოხუმში, ქუთაისში აშენდეს და ამუშავდეს 500-ადგილიანი კინოთეატრების შენობები და თბილისში 700-ადგილიანი საზაფხულო კინოთეატრი.

აშენდეს და საექსპლოატაციოდ გადაეცეს 750 ადგილიანი დრამატიული თეატრი ქალაქ სოხუმში, 900-ადგილიანი თეატრი ქალაქ ქუთაისში და 800-ადგილიანი თეატრი ქალაქ ბათუმში.

გაფართოვდეს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სისტემის სასწავლებელთა ქსელი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა 1950 წელს აყვანილ იქნას 1.206-მდე, ნაცვლად 1940 წლის 694 კაცისა; მხატვრული, მუსიკალური, თეატრალური, ქორეოგრაფიული და სხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი აყვანილ იქნას 16.316-მდე, ნაცვლად 1940 წლის 11.524-ისა.

მუსიკალური სკოლების რაოდენობა 1950 წელს აყვანილ იქნას 37-მდე, ნაცვლად 1940 წლის 27-ისა.

საკლუბო დაწესებულებათა ქსელი 1950 წელს აყვანილ იქნას 2.150-მდე, ნაცვლად 1940 წლის 1.505-ისა და მასობრივი ბიბლიოთეკების ქსელი 3.100-მდე, ნაცვლად 1940 წლის 1.628-ისა, მათ შორის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის ხაზით საკლუბო დაწესებულებების ქსელი—1.600-მდე და მასობრივი ბიბლიოთეკებისა—300-მდე.

1950 წელს საქალაქო და რაიონული კულტურის სახლების რაოდენობა აყვანილ იქნას 80-მდე, რაიონული და სასოფლო კლუბებისა—720-მდე, ქოხ-სამკითხველოებისა—750-მდე, კულტურისა და დასვენების პარკებისა—30-მდე, მუზეუმებისა—28-მდე და მწერალთა სახლ-მუზეუმებისა—7-მდე.

უზრუნველყოფილ იქნას კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება, პოლიტსაგანმანათლებლო სასწავლებლების კონტინგენტი 1950 წელს აყვანილ იქნას 1.423 კაცამდე, რისთვისაც მოეწყოს ახალი სასწავლებლები ბორჯომში, თელავსა და ბათუმში.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით: გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხი და უზრუნველყოფილ იქნას მისთვის ფართო სტაციონარული და პოლიკლინიკური დახმარება სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა ფართოდ გამოყენების საფუძველზე.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს საერთო და სპეციალურ საავადმყოფოებში საწოლების რიცხვი 1950 წელს აყვანილ იქნას 17,9 ათასამდე, ნაცვლად 1940 წლის 11,3 ათასისა, მათ შორის ქალაქებში 12,0 ათასამდე და სოფელ ადგილებში 5,9 ათასამდე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სამამულო ომის ინვალიდთა სამედიცინო მომსახურებას.

გაუმჯობესდეს მშობიარეთა და ბავშვთა მომსახურების საქმე. 1950 წელს სამშობიარო სახლებში საწოლების რაოდენობა აყვანილ იქნას 2,05 ათასამდე, მათ შორის ქალაქებში 1,3 ათასამდე, სოფელ ადგილებში 0,75 ათასამდე, გაფართოვდეს ბავშვთა და ქალთა კონსულტაციების, ბავშვთა საავადმყოფოებისა და სარძეო სამზარეულოების ქსელი.

აშენდეს და ამუშავდეს სამშობიარო სახლები 190 საწოლით.

1950 წელს საბავშვო ბაღებში ბავშვების რაოდენობა აყვანილ იქნას 29,3 ათასამდე, გადიდდეს ადგილების რაოდენობა მუდმივ საბავშვო ბაგებში 18.800-მდე, ნაცვლად 1940 წლის 10.400-ისა, ბავშვთა რაოდენობა სეზონურ ბაგებში—45,0 ათასამდე, ნაცვლად 1940 წლის 14,1 ათასისა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით აშენდეს და ამუშავდეს ბავშვის სახლი ქალაქ თბილისში, საბავშვო ბაგები თბილისში, ქუთაისსა და გორში და სარძეო სამზარეულოები ქალაქ ფოთსა და ზუგდიდში.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით ხუთწლედის განმავლობაში აშენდეს და ამუშავდეს ას-ას ადგილიანი საბავშვო ბაღები ქალაქ ქუთაისში, ბათუმში, გორსა და მახარაძეში, აგრეთვე ერთი საბავშვო სახლი.

გაუმჯობესდეს აღმზრდელობითი მუშაობა და ბავშვთა სამედიცინო მომსახურება საბავშვო ბაგებში. საბავშვო ბაღებსა და საბავშვო სახლებში, უზრუნველყოფილ იქნან ისინი მომსახურე და სამედიცინო პერსონალის კვალიფიციური კადრებით.

გაძლიერდეს ბრძოლა მალარიასთან, გაფართოვდეს სამალარიო (ტროპიკულ) სადგურთა ქსელი. მთლიანად აღდგენილ იქნას სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელი, ჩატარდეს მუშაობა შენობებისა და ნაგებობათა კაპიტალური რემონტისა და კურორტების კეთილმოწყობის დარგში.

სანატორიუმებში საწოლთა რაოდენობა 1950 წელს გადიდდეს 5.831-მდე ნაცვლად 1940 წლის 4.612-ისა.

აშენდეს და ამუშავდეს ქალაქ თბილისში სამი საავადმყოფო 600 საწოლით, 200-საწოლიანი საავადმყოფო ქუთაისში, აგრეთვე საავადმყოფო-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ

(დასასრული)

ბი ქალაქ გორში, გალში, დუშეთში, ოჩამჩირეში, ლაგოდეხში, სამტრედიასა და ყვარელში 452 საწოლით.

დაწყებულ იქნას საავადმყოფოების მშენებლობა ზესტაფონსა და ახმეტაში.

მაღალკვალიფიციური კადრებითა და სხვა სამედიცინო პერსონალით სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა უზრუნველსაყოფად საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა კონტინგენტი 1950 წელს დაწესდეს 2.643 კაცი და საშუალო სასწავლებლებში—4.698 კაცი.

4. **საბინაო მშენებლობის** ხაზით: აშენდეს ახალი საცხოვრებელი სახლები, რომლებიც უზრუნველჰყოფენ მშრომელთა საბინაო პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში. ბინებისა და საკურორტოების და ადმინისტრაციული მშენებლობის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა ადგილობრივ საბჭოებს 1946-1950 წლებისათვის დაუწესდეთ 36 მილიონი მანეთის რაოდენობით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში სახელმწიფო საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 1946-1950 წლებისათვის განისაზღვროს 732 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით, მათ შორის ადგილობრივი საბჭოების ხაზით 35 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით. აქედან ქალაქ თბილისში 25,5 ათასი კვადრატული მეტრი და რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო უწყებებსა და ორგანიზაციებში 65,3 ათასი კვადრატული მეტრი.

ხუთწლედის განმავლობაში ქალაქებსა და მუშათა დაბებში ყოველმხრივ შეეწყოს ხელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, დახმარება გაეწიოს მუშა-მოსამსახურეებს სახელმწიფო კრედიტით და საშენი მასალის შეძენაში.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ადგილობრივი საბჭოებისა და სამრეწველო საწარმოების საცხოვრებელი შენობების კაპიტალურ რემონტს.

გაუმჯობესდეს ადგილობრივი საბჭოების საბინაო მეურნეობის ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა, უზრუნველყოფილ იქნას საბინაო ფონდის მოვლა-დაცვის ღონისძიებათა განხორციელება და მიმდინარე რემონტის დროულად ჩატარება.

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გაფართოვდეს ადგილობრივი საბჭოების სასტუმროთა ფონდი და ხუთწლედის განმავლობაში დამატებით გადაეცეს საექსპლოატაციოდ 500 ადგილი, მათ შორის ქალაქ თბილისში—250 ადგილი.

ხუთწლედის განმავლობაში აშენდეს და ამუშავდეს ახალი ადმინისტრაციული სახლები ქუთაისში, ქარელში, თეთრ წყაროში, ხობში, ვანში, ჩხოროწყუში, ახმეტასა და კაჭრეთში.

5. **კომუნალური მეურნეობის** ხაზით: ხუთწლედისათვის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა დაწესდეს 80.000 ათასი მანეთის რაოდენობით.

გაუმჯობესდეს ქალაქების კეთილმოწყობა და სანიტარული მდგომარეობა.

გადიდდეს ხუთწლედის განმავლობაში წყალსადენის ქსელი საქართველოს სსრ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში 74 კილომეტრით, მათ შორის თბილისში 40 კილომეტრით.

ამუშავდეს ახალი წყალსადენები სოხუმში, წითელწყაროში, ახმეტასა და ქარელში და გაფართოვდეს წყალსადენი თბილისში, ქუთაისში, გორში, ბათუმში, ახალციხესა და ასპინძაში.

კომუნალური წყალსადენების მიერ ქსელში წყლის საშუალო სადღეღამისო მიწოდება 1950 წელს აყვანილ იქნას 259 ათას კუბურ მეტრამდე ანუ გადიდდეს 108 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით და წყალსადენის ქსელის სიგრძე აყვანილ იქნას 720 კილომეტრამდე ანუ გადიდდეს 17 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

აშენდეს და ამუშავდეს კანალიზაცია ქალაქ ფოთში.

1950 წელს საკანალიზაციო ქსელი ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში გადიდდეს 26 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

თბილისის ტრამვაის საექსპლოატაციო ლიანდაგების სიგრძე 1950 წელს აყვანილ იქნას 97 კილომეტრამდე ანუ გადიდდეს 15,4 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

ტროლეიბუსების ხაზების სიგრძე 1950 წელს გადიდდეს 20,7 კილომეტრამდე და ომამდელი დონე გადაჭარბებულ იქნას 28,6 პროცენტით.

კომუნალური აბანოების გამტარუნარიანობა 1950 წელს აყვანილ იქნას 2.343 ბანაობა-საათამდე ანუ გადიდდეს 18 პროცენტით 1940 წელთან შედარებით.

ჩატარდეს ჭაობიანი ადგილების ამოშრობის სამუშაოები ქალაქ სოხუმში, აგრეთვე ნაპირდამცავი გასამაგრებელი სამუშაოები ქალაქ გორში, ოჩამჩირეში, ცაგერში, ონსა და ხარაგოულში.

6. **საქონელბრუნვისა და მოხმარების** ხაზით: სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1950 წელს გადიდდეს 28 პროცენტით (1945 წლის ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით) 1940 წელთან შედარებით შესადარის ფასებში.

მოსახლეობის ბარათების წესით ნორმირებული მომარაგებიდან გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლის განსახორციელებლად მომზადებულ და გაფართოებულ იქნას სავაჭრო ქსელი, სავაჭრო ორგანიზაციები უზრუნველყოფილ იქნან ტრანსპორტით, მოწყობილობითა და ინვენტარით, აგრეთვე კვალიფიციური კადრებით.

გაფართოვდეს მოსახლეობისათვის კვების მაღალხარისხოვანი პროდუქტების—პურ-ფუნთუშის, ხორცისა და თევზის, ცხიმის, შაქრისა და საკონდიტრო ნაწარმის, აგრეთვე სამრეწველო საქონლის—ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საპნის, ავეჯის მიყიდვა; მოსახლეობისათვის სასურსათო საქონლის მიყიდვა 1950 წელს გადიდდეს 1940 წელთან შედარებით 23 პროცენტით და სამრეწველო საქონლისა—36 პროცენტით.

აღდგენილ და გადიდებულ იქნას სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელი ქალაქებსა და სოფლებში, აგრეთვე სავაჭრო საწყობებისა და ბაზების ქსელი.

ქალაქებში აღდგენილ და გაფართოებულ იქნას სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი, ხოლო სოფლად რაიუნივერმაღებისა და პირველი საჭიროების საქონლის სავაჭრო წერტების ქსელი.

უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაუმჯობესება, რისთვისაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს პროდუქციის ხარისხი, აგრეთვე მომსახურება.

უზრუნველყოფილ იქნას საკოლმეურნეო ვაჭრობის შემდგომი განვითარება, განხორციელდეს საკოლმეურნეო ბაზრების შემდგომი კეთილმოწყობისა და მათი ქსელის გაფართოების სამუშაოები. შეეწყოს გლეხური მოთხოვნილების სამრეწველო საქონლის ფართოდ გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე.

ადგილობრივი საბჭოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება საბჭოთა კულტურული ვაჭრობის გაშლაში და სამრეწველო და სასურსათო საქონლის მხრივ მოსახლეობის მოთხოვნილების უფრო სრულად დაკმაყოფილებაში.

• • •

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ა) განიხილოს და დაამტკიცოს ხუთწლიანი სამეურნეო გეგმები საქართველოს სსრ ცალკე სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მიღებული ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე;

ბ) მოაწყოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესრულების სისტემატური შემოწმება;

გ) უზრუნველჰყოს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ყოველმხრივი მონაწილეობა ხუთწლიანი გეგმის განხორციელების საქმეში სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, რათა არა მარტო შესრულდეს, არამედ ვადაზე ადრე გადაჭარბებითაც იქნას შესრულებული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. სტურუა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ეგნატაშვილი

ქ. თბილისი 1946 წ. 7 აგვისტო.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

9 აგვისტოს დილის პლენარული სხდომა

პარიზი, 9 აგვისტო. (საკუთ. სპეც. კორ.). კონფერენციის დღევანდელი დილის სხდომაზე გრძელდებოდა პროცედურის წესების განხილვა. კამათში პირველი გამოვიდა უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელი მანუილსკი.

მანუილსკის სიტყვა

— ჩვენ აქ შევიკრიბეთ ძლიერ დიდმნიშვნელოვანი საქმისათვის,—სთქვა მანუილსკიმ, — მშვიდობის დამყარების საქმისათვის. ჩვენი საერთო საქმის წარმატება მოითხოვს, რომ ყოველი დელეგაციისათვის აქ აღიარებულ იქნას უფლება დაიცვას თავისი თვალსაზრისი, თავისი ქვეყნის პოზიცია როგორც კომისიებში, ისე კონფერენციის პლენარულ სხდომებზე. უკრაინის დელეგაცია საშიშრად სთვლის დისკუსიის იმ ხერხს, რაც აირჩია დიდი ბრიტანეთის პირველმა დელეგატმა, რომელიც სადავოდ ხდის ამ შესაძლებლობას იმათთვის, ვინც ამათუიმ შემთხვევაში არ ეთანხმება უმრავლესობის გადაწყვეტილებას. ამგვარი პრაქტიკა იქნებოდა არა თავისუფალი დისკუსია, არამედ ერთგვარი სრულიად გაუმართლებელი პრეტენზია დიქტატზე, რომელსაც, რა თქმა უნდა, წარმატება არ ექნება, მაგრამ რომელიც შესძლებს გააძნელოს კონფერენციის მუშაობა.

უეჭველია,—განაგრძო მანუილსკიმ, — რომ მშვიდობის საფუძვლები, რომელთა შესამუშავებლადაც მოწოდებულია კონფერენცია, მით უფრო მტკიცე იქნება, რაც უფრო მეტ ერთსულოვნობას გამოიჩენენ კონფერენციის მონაწილეები. და, პირიქით, რამდენადაც მეტი საკითხი გადაწყდება უმცირესობისათვის უმრავლესობის მექანიკური დაპირისპირების გზით, მით უფრო მეტი ვნებადი წერტილი იქნება იმ მშვიდობაში, რომელიც კონფერენციას სურს დაამყაროს ჩვენი საერთო გამარჯვების შემდეგ.

უკრაინის დელეგაცია იძულებულია მწუხარებით აღნიშნოს, რომ კონფერენციის მუშაობის დასაწყისიდანვე პროცედურის შესახებ დავის სახით გამოვლინდა ტენდენცია საეჭვოდ გახადონ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებს, რომ ძირითად საკითხებში კონფერენციის აზრის გამოსავლინებლად საჭიროა ხმების ორი მესამედის უმრავლესობა.

მანუილსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საპროცედურო კომისიის უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მკვეთრად ეწინააღმდეგება მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებას და იმ პროცედურას, რაც მიღებულია სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე, რომელმაც 51 ერი გააერთიანა. რისთვის იყო საჭირო მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილების დარღვევა, — კითხულობს მანუილსკი, — რისთვის გახდა საჭირო გვერდზე გადაგდება სან-ფრანცისკოს კონფერენციის გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანეს საკითხზე, რომელიც მიღებული იყო მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის სასარგებლოდ? უცნაურია, რომ საპროცედურო კომისიამ ამჯობინა 11 ან 14 ხმით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც პირდაპირ ეწინააღმდეგება 51 ერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ეს მით უმეტეს უცნაურია, რომ კენჭისყრის შემდეგ საპროცედურო კომისიის თავმჯდომარემ სპაკმა მეორე დღეს შემოიტანა წინადადება, რომ საპროცედურო ხასიათის ყველა სხვა საკითხში კონფერენცია იყენებდეს სან-ფრანცისკოს პროცედურის წესებს.

ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი,—განაგრძო მანუილსკიმ,—ვერ შესძლებს გაიგოს ასეთი გადაწყვეტილების მოტივი. სავსებით ცხადია, რომ საპროცედურო კომისიის უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად ედო არა პრინციპული ხასიათის მოსაზრებანი, არამედ ხმების ისეთი არითმეტიკული გამოანგარიშების მოსაზრებანი, რომელიც უზრუნველჰყოფდა შესაძლებლობას კონფერენციის ერთი ნაწილის ნება თავს მოეხვიათ მისი მეორე ნაწილისათვის.

უკრაინის დელეგაცია აგრეთვე არანორმალურად სთვლის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ოთხი მინისტრის მიერ მიღებულ შეთანხმებებს გადასინჯავენ იმ ქვეყნების დელეგაციები, რომელთა მინისტრებმაც ხმა მისცეს ამ შეთანხმებებს. ამგვარი დამოკიდებულება მიღებული გადაწყვეტილებისა და მიცემული სიტყვისადმი შეიძლება გადამდები მაგალითი გახდეს როგორც ამ კონფერენციაზე, ისე მის შემდეგ, მიღებულ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა რევიზიის ცდებისათვის.

დასასრულ მანუილსკიმ განაცხადა, რომ უკრაინის დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს მიღებულ იქნას მინისტრების საბჭოს პირვანდელი წინადადება კონფერენციაზე კენჭისყრის წესის შესახებ.

ბირნსის სიტყვა

შემდეგ გამოვიდა ბირნსი (ამერიკის შეერთებული შტატები). ბირნსმა გააკრიტიკა იმ დელეგატების პოზიცია, რომლებიც იცავდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებას კონფერენციაზე კენჭისყრის წესის შესახებ და საქმე ისე წარმოადგინა, თითქოს ეს დელეგატები აზრს გამოსთქვამდნენ იმის წინააღმდეგ, რომ მინისტრების საბჭოს განსახილველად გადასცემოდა ის წინადადებანი, რომლებიც ხმის ორ მესამედს ვერ მიიღებენ.

საკითხის ასეთმა დაყენებამ სხდომის დამსწრეთა გაკვირვება გამოიწვია, რამდენადაც ყველამ იცის, რომ საზავო კონფერენციის დელეგატთა შორის არავინ არ გამოსულა იმ სახელმწიფოთა წარმომადგენლების კანონიერი უფლების წინააღმდეგ, რომელთა წინადადებანიც ვერ შეაგროვებენ ხმის ორ მესამედს, ეს წინადადებანი განსახილველად გადასცენ მინისტრების საბჭოს. ლაპარაკი იყო მხოლოდ იმაზე, —ეს წინადადება ავტომატურად გადაეცეს კონფერენციის როგორც რეკომენდაციები, თუ ისინი მინისტრების საბჭოში უნდა შეიტანონ სახელმწიფოთა ჯგუფის ან ცალკე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

კისელიოვის სიტყვა

ბელორუსიის დელეგაციის ხელმძღვანელმა კისელიოვმა განაცხადა, რომ ბელორუსიის დელეგაციას არ შეუძლია დაეთანხმოს საპროცედურო კომისიის გადაწყვეტილების იმ ნაწილს, სადაც აღნიშნულია, რომ რეკომენდაციების მიღება შეიძლება ხმის უბრალო უმრავლესობით. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზოგიერთი დელეგატის გამოსვლა საპროცედურო კომისიის სხდომებზე, აგრეთვე პლენუმზე, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ საზავო კონფერენციის ყველა მონაწილეს როდი აქვს გულწრფელი განზრახვა და სურვილი მიაღწიოს შეთანხმებულ და ერთსულოვან გადაწყვეტილებებს.

ბირნსის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მომხრეები საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადებისა კენჭისყრის წესის შესახებ იმის წინააღმდეგი არიან, რომ ხმის უბრალო უმრავლესობით მიღებული წინადადებანი მინისტრების საბჭოს გადაეცეს, კისელიოვმა კონფერენციას მოაგონა, რომ ეს მტკიცება სინამდვილეს არ შეესაბამება.

„უნდა ვთქვა,—განაცხადა მან,—რომ საბჭოთა დელეგაცია, რომელიც იცავს ხმის ორი მესამედის უმრავლესობას, წინადადებას იძლეოდა, რომ მინისტრების საბჭოში შეიძლება განხილულ იქნას იმ დელეგაციების მოსაზრებანიც, რომელთა წინადადებებმა ხმის ორი მესამედი ვერ შეაგროვეს. მაგრამ ეს წინადადება მიღებულ არ იქნა აშკარა ზეგავლენის გამო ინგლისისა და ამერიკის დელეგაციების მხრივ".

კისელიოვმა აღნიშნა, რომ ზოგიერთი დელეგაცია, რომელიც უარჰყოფს ერთსულოვნებისა და ხმის ორი მესამედი კვალიფიციური უმრავლესობით გადაწყვეტილებათა მიღების პრინციპს, ამით სთესავს განხეთქილების და უთანხმოების თესლს და ძირს უთხრის საზავო კონფერენციის ავტორიტეტს მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში. ამ კონფერენციისა და მშვიდობის ბედისათვის იმაზე საშიში არა არის რა, ვიდრე ერთი სახელმწიფოების მიერ სხვა სახელმწიფოებისათვის თავისი ნების თავზე მოხვევა.

— ჩვენ აქ შევიკრიბეთ,—სთქვა ბელორუსიის დელეგატმა,—იმისათვის, რომ დავამყაროთ სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობა. ხოლო ამის მიღწევას ჩვენ მარტო იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ ერთსულოვანი ვიქნებით ომის შემდგომი მშვიდობის საკითხების გადაჭრაში, ისე როგორც ერთსულოვანი ვიყავით ომის მრისხანე დღეებში. აი რატომ უჭერს მხარს ბელორუსიის დელეგაცია საბჭოთა დელეგაციის მეთაურის მოლოტოვის წინადადებას საპროცედურო კომისიის გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ, და ყველაზე სწორად სთვლის საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებას, რათა რეკომენდაციები საზავო კონფერენციაზე მიღებულ იქნას ხმის ორი მესამედის უმრავლესობით.

კუვ დე მიურვილის სიტყვა

საფრანგეთის წარმომადგენელმა კუვ დე მიურვილმა თავის სიტყვაში კონფერენციას მოაგონა, რომ საპროცედურო კომისიამ არ მიიღო საფრანგეთის წინადადება კენჭისყრის წესის შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირმაც. ეს წინადადება იმაში მდგომარეობდა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადასცემოდა კონფერენციის ის რეკომენდაციები, რომლებმაც ხმის ორი მესამედი მიიღეს, ხოლო ის რეკომენდაციები, რომლებიც ხმის ორ მესამედს ვერ მიიღებენ, მაგრამ ხმის უმრავლესობას შეაგროვებენ, შეიძლებოდა მინისტრების საბჭოს გადასცემოდა სათანადო სახელმწიფოთა თხოვნით.

საფრანგეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას არ ესმის ის მოტივები, რომლებმაც კონფერენცია აიძულეს უარეყო საფრანგეთის წინადადება და მის ნაცვლად მიეღო ბრიტანეთის შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მინისტრების საბჭოსათვის კონფერენციის მიერ რეკომენდაციების სახით იმ წინადადებათა გადაცემასაც, რომლებიც ხმის უბრალო უმრავლესობას შეაგროვებენ.

პროცედურის წესების კენჭისყრა

კონფერენციამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხმა მისცა საპროცედურო კომისიის მიერ ცნობილებულ პროცედურის წესებს, იმავე უმრავლესობით, როგორც ეს კომისიაში იყო. რეკომენდაციების მიღებისას კენჭისყრის წესის საკითხის კონფერენციაზე განხილვის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ საპროცედურო კომისიამ, ხოლო შემდეგ კონფერენციის პლენუმმაც, მიიღეს რა გადაწყვეტილება უბრალო უმრავლესობის შესახებ, უხეში შეცდომა ჩაიდინეს. ეს შეცდომა, უეჭველია, ძირს უთხრის იმ გადაწყვეტილებათა ავტორიტეტს, რომლებიც მიღებულ იქნება კონფერენციაზე, იგი ძირს უთხრის აგრეთვე თვით კონფერენციის ავტორიტეტს.

საბჭოთა დელეგაცია გაფრთხილებას გამოსთქვამდა ასეთი შეცდომის წინააღმდეგ. იგი არწმუნებდა სხვა დელეგაციებს, რომ ასეთი გადაწყვეტილება სწორი არ არის, მაგრამ მისმა ღონისძიებებმა, სამწუხაროდ, სათანადო შედეგი ვერ მოგვცეს. საბჭოთა დელეგაცია შემდეგშიც იბრძოლებს მაქსიმალური ერთსულოვნობისათვის კონფერენციაზე გადაწყვეტილებათა მიღების საქმეში, ურომლისოდაც არ შეიძლება მიღწეულ იქნას დადებითი შედეგები და კონფერენციის მუშაობა არ შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს.

პროცედურის წესების მე-3 კარის კენჭისყრის დროს, რომელიც ეხება კონფერენციაზე სხვა სახელმწიფოთა მოწვევას, იუგოსლავიის დელეგატმა პიადემ წინადადება შეიტანა კონფერენციაზე მოწვეულ იქნას ალბანეთი.

— ამჟამად,—სთქვა პიადემ,—როდესაც განიხილება საკითხი იტალიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, ხელშეკრულებისა, რომლითაც ალბანეთი იუგოსლავიასა, საბერძნეთსა და საფრანგეთთან ერთად ყველა სახელმწიფოზე უფრო დაინტერესებულია, არ შეიძლება იგი ჩამოვაშოროთ ამ განხილვას. ალბანელი ხალხი საარსებოდ არის დაინტერესებული, რომ დაიცვას თავისი ინტერესები იტალიასთან საზავო ხელშეკრულებაში. ამის საფუძველზე იუგოსლავიის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია მოწვეულ იქნას კონფერენციაზე ალბანეთი სათათბირო ხმით.

ამ საკითხის განხილვა გადატანილია კონფერენციის საღამოს სხდომაზე.

ვიშინსკი შეეხო ამ დღის წესრიგს და აღნიშნა, რომ ზოგიერთი საკითხი დაყენებულია დამახინჯებული სახით. კერძოდ, მე-4 პუნქტში ნათქვამია: „სხვადასხვა დადგენილებანი პროცედურისა და ორგანიზაციის წესების ძალაში შესასვლელად". რა იგულისხმება ამ სიტყვებით? რა არის ეს „სხვადასხვა დადგენილებანი"? ეს დადგენილებანი შეიძლება მეტად ბევრი იქნეს, შესაძლებელია ისინი სხვადასხვაგვარი, მოულოდნელი და იმდენად სერიოზული იქნეს, რომ შეიძლება განხილვამდე ხანგრძლივი შესწავლა მოითხოვოს. თუ დღის წესრიგი ასეთი სახით შესდგება, თუ საკითხები ასეთი რედაქციით წარედგინება განსახილველად კონფერენციას, მაშინ შეიძლება სანაძლეო დავდოთ, რომ უკანასკნელ მომენტამდე, როდესაც მომხსენებელი თავის თვალსაზრისს ჩამოაყალიბებს, კონფერენციას არ ეცოდინება, რაზეა ლაპარაკი.

ვიშინსკიმ, როგორც უწესრიგობისა და არაორგანიზებულობის გამოვლინება, აღნიშნა ის გარემოება, რომ კონფერენციის მონაწილეებს დღის წესრიგი სულ უკანასკნელ წუთს დაურიგდათ. ამასთან გავრცელებულიც კი არ იყო ამ დღის წესრიგის რუსული თარგმანი, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენა კონფერენციის სამუშაო ენას წარმოადგენს.

ვიშინსკიმ კონფერენციის ყურადღება მიაპყრო ასეთი მდგომარეობის შეუწყნარებლობას და საბჭოთა დელეგაციის სახელით მტკიცედ მოითხოვა, რომ ჯერ ერთი, უფრო მკაფიოდ იქნას შედგენილი ამა თუ იმ სხდომის დღის წესრიგი, ხოლო, მეორეც, რომ კონფერენციამ მოაწესრიგოს კონფერენციის სხდომების დღის წესრიგის მომზადების საქმე.

კონფერენციის დროებითმა თავმჯდომარემ ბიდომ წარმოადგინა ახსნა-განმარტება საბჭოთა დელეგაციის მიერ აღძრულ საკითხზე. მან დაარწმუნა კონფერენცია, რომ ამიერიდან კონფერენციის დოკუმენტები თავის დროზე იქნება შედგენილი რუსულ ენაზე.

შემდეგ კონფერენცია გადავიდა დღის წესრიგის საკითხთა არსებითად განხილვაზე. იუგოსლავიის დელეგაციის წინადადებით მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება:

„იმ შემთხვევებში, როცა წინადადება რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოსი, რომელიც სათანადო ყოფილი მტრული სახელმწიფოს მეზობელია, მიღებულ არ იქნება ხმის ორი მესამედის უმრავლესობით, არც უბრალო უმრავლესობით, ამ მოკავშირე სახელმწიფოს მთავრობას უფლება ექნება ხსენებული წინადადება უშუალოდ გადასცეს განსახილველად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს".

იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის მიწვევის შესახებ

როგორც ვიცით, საპროცედურო კომისიამ მიიღო რეკომენდაცია პროცედურის წესებში შეტანილ იქნას პუნქტები იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ — გამოცხადდნენ კონფერენციაზე და წარუდგინონ მას თავისი სურვილები პლენუმის სხდომებზე, რომლებიც 10 აგვისტოს იწყება. საპროცედურო კომისიამ მიიღო აგრეთვე რეკომენდაცია, რათა კონფერენციამ შესაძლებლობა მისცეს კომისიებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოუსმინონ ყოფილი მტრული ქვეყნების წარმომადგენლებს, როდესაც ისინი ამას საჭიროდ დაინახავენ.

საბჭოთა დელეგაციის სახელით ვიშინსკიმ წინადადება შეიტანა დაზუსტებულ იქნას ამ წარმომადგენელთა მოწვევისა და მათთვის კონფერენციაზე სიტყვის მიცემის წესი, რამდენადაც, ზემოაღნიშნული წინადადების თანახმად, პლენუმმა მათი მოსმენა უკვე ხვალ უნდა დაიწყოს.

სიტყვა მიეცა ბირნსს (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელმაც სთქვა, რომ სასურველია ყოფილი მტრული ქვეყნების წარმომადგენლებს მოუსმინონ იმ რიგით, როგორც ისინი დასახელებული არიან პოტსდამის შეთანხმებებში, სახელდობრ: იტალიას, რუმინეთს, ბულგარეთს, უნგრეთს, ფინეთს.

ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაცია ეთანხმება კონფერენციის პლენუმზე ყოფილი მტრული ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლების ბირნსის მიერ წარმოდგენილი რიგითობის წესს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზავო კონფერენციაზე ამ ქვეყნების წარმომადგენელთა მოწვევა თავისთავად სერიოზული ფაქტია — წარსულში ასეთ პრაქტიკას არ იყენებდნენ; ვერსალში არავინ არ ელაპარაკებოდა დამარცხებულთ. ვინაიდან იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის დელეგატები საზავო კონფერენციაზე გამოვლენ მხოლოდ ერთხელ, საჭიროა მიეცეთ მათ შესაძლებლობა თავისუფლად და დასაბუთებულად გამოსთქვან და ჩამოაყალიბონ თავიანთი თვალსაზრისი და არ შეიზღუდონ დროის მხრივ საქმის საზიანოდ.

ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის დელეგატებმა მტკიცედ მოითხოვეს, რომ ყოფილი მტრული ქვეყნები კონფერენციაზე არ სარგებლობდნენ მეტი უფლებებით, ვიდრე მოკავშირე სახელმწიფოები, და წინადადება შეიტანეს ამ ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლები შეიზღუდოს საზავო ხელშეკრულებათა პროექტების ჩარჩოებით.

გადაწყდა მიენდოს კონფერენციის სამდივნოს პრაქტიკულად დააზუსტოს კონფერენციის პლენარულ სხდომებზე ყოფილი მტრული ქვეყნების წარმომადგენელთა გამოსვლების საკითხი, რათა ამ გამოსვლების მოსმენა დაუყოვნებლივ დაიწყოს.

დისკუსია კონფერენციაზე ალბანეთის მოწვევის შესახებ

სხდომის დღის წესრიგში იდგა იუგოსლავიის დელეგაციის წინადადება კონფერენციაზე ალბანეთის მოწვევის შესახებ.

სრულიად მოულოდნელად კონფერენციის თავმჯდომარემ ბიდომ განაცხადა, რომ ამ სხდომაზე უნდა განიხილონ საკითხი არა მარტო ალბანეთის მოწვევის, არამედ ეგვიპტის, მექსიკისა და კუბის მოწვევის შესახებაც, რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ კონფერენციის მუშაობაში. დღის წესრიგის ასეთმა, მეტი რომ არ ითქვას, უცნაურმა ინტერპრეტაციამ სრულიად დასაბუთებული საწინააღმდეგო აზრი გამოიწვია საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელ ვიშინსკის მხრივ.

ვიშინსკიმ განაცხადა, რომ შეუძლებელია ამჟამად განხილულ იქნას, გარდა ალბანეთისა, სხვა სახელმწიფოთა მოწვევის საკითხი, რამდენადაც ეს საკითხი არ იყო დღის წესრიგში და რამდენადაც წარმოდგენილი არ არის არავითარი დოკუმენტი, მასალა და წინადადება ამ საკითხზე.

ამის შემდეგ გამოვიდა საბერძნეთის პრემიერ-მინისტრი ცალდარისი. მან ალბანეთს წარუდგინა უხეში და უსამართლო ბრალდებანი და ისინი ცილისმწამებლური განცხადებებით შეაზავა. ცალდარისი უგულებელჰყოფდა საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს და ცდილობდა ლიტონი სიტყვით დაემტკიცებინა, თითქოს ალბანეთი მონაწილეობას არ იღებდა ბრძოლაში ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ, არამედ, პირიქით, იტალიის მხარეზე იბრძოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ბირნსმა განაცხადა, რომ, მისი აზრით, „ყველა როდი იქნება იმის თანახმა, რომ არ შეიძლება ალბანეთის მოწვევა". მაგრამ რატომღაც ალბანეთის მოწვევის საკითხი დაუკავშირა კუბის, მექსიკისა და ეგვიპტის მოწვევას.

ბირნსმა წინადადება შეიტანა ალბანეთის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც იუგოსლავიის დელეგაციამ წარმოადგინა გადაეცეს კონფერენციის გენერალურ კომისიას, რათა ამ კომისიამ გზადაგზა განიხილოს სხვა სახელმწიფოების თხოვნაც.

უკრაინის სსრ დელეგაციის წარმომადგენელმა მანუილსკიმ მხარი დაუჭირა იუგოსლავიის დელეგაციის წინადადებას. მან დაწვრილებით გაარჩია კონფერენციაზე სათათბირო ხმით ალბანეთის მოწვევის წინააღმდეგ გამოთქმული აზრები. მანუილსკი შეჩერდა ბირნსის გამოსვლაზე და აღნიშნა, რომ ამჟამად განიხილავენ ალბანეთის მოწვევის საკითხს და არა კუბის, მექსიკისა და ეგვიპტის მოწვევის საკითხს. უკრაინის დელეგაცია მზად არის განიხილოს ყოველი წინადადება, მათ შორის წინადადებაც აღნიშნულ სახელმწიფოთა მოწვევის შესახებ. მაგრამ მან უნდა ნახოს მათი განცხადებანი და უნდა იცოდეს, თუ რა მოტივებით ცდილობენ ისინი მოწვევას. არ შეიძლება ასეთი საკითხების ბრმად, სერიოზულად განხილვის გარეშე გადაწყვეტა.

შემდეგ მანუილსკი შეეხო საბერძნეთის წარმომადგენლის გამოსვლას. მან კონფერენციას მოაგონა 1942 წლის დეკემბერში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მინისტრების განცხადებანი, რომლებშიც ისინი აღიარებდნენ, რომ ალბანელი ხალხი იყო ფაშისტური აგრესიის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, და გამოსთქვამდნენ თავიანთ თანაგრძნობას ალბანეთისადმი, აღტაცებას მისი ხალხის გმირული ბრძოლით და მაღალ შეფასებას აძლევდნენ ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ მის ბრძოლას.

მანუილსკიმ კონფერენციას მოაგონა, რომ ალბანეთი იყო ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი იტალიის ფაშიზმისა, რომელიც თავს დაესხა მას 1939 წლის 7 აპრილს. ალბანეთმა განიცადა იტალიის ოკუპაციის საშინელებანი. 50 ათასამდე მისი მოქალაქე წაყვანილ იქნა იტალიაში, ალბანეთის ქალაქებისა და სოფლების 30 პროცენტი მისპობილ იქნა ოკუპანტთა მიერ მის ტერიტორიაზე ბრძოლების მსვლელობაში.

ალბანელი ხალხი დაუღალავად ებრძოდა ოკუპანტებს. თავდაპირველად ამ ბრძოლას ეწეოდნენ პარტიზანული რაზმები; 1941 წლიდან — ალბანეთში შესდგა რეგულარული არმია, რომლის რაოდენობა 50 ათას კაცს აღწევდა. პატარა ქვეყნის ყოველი მეოცე მცხოვრები ამ არმიის რიგებში იყო. საჭიროა აღინიშნოს, რომ ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში ალბანეთის არმიამ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაჰკარგა 28 ათასამდე კაცი, ე. ი. თავისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. და ამის შემდეგ საბერძნეთის დელეგაციის წარმომადგენელი სადავოდ ხდის იმ მსხვერპლსა და ნაკლისს, რაც ალბანეთმა საერთო საქმის დაცვის დროს განიცადა.

მანუილსკიმ აღნიშნა, რომ საბერძნეთის წარმომადგენლის მიერ იმის დამოწმება, რომ ალბანეთი საბერძნეთის წინააღმდეგ იომებდა, აბსოლუტურად არ არის გასაკვირველი. ფაქტიურად ალბანეთი ოკუპირებული იყო იტალიელების მიერ და იტალიის მთავრობამ საბერძნეთს ომი გამოუცხადა ალბანეთის სახელით.

შემდეგ მანუილსკიმ კონფერენციას მოაგონა, რომ ალბანეთი მიწვეულ იქნა რეპარაციების საკითხთა პარიზის კონფერენციაზე 1945 წლის ნოემბერში; მისი წარმომადგენლები ამჟამად მონაწილეობას იღებენ რეპარაციების საკითხთა კომისიების სხდომებში. ბოლოს, იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტში არის მთელი რიგი განყოფილებანი, რომლებიც უშუალოდ ეხებიან ალბანეთს. ყოველივე ამის შემდეგ რატომ უარჰყოფენ ალბანეთის უფლებას დაესწროს საზავო კონფერენციას სათათბირო ხმით?

მანუილსკიმ წინადადება შეიტანა მიღებულ იქნას იუგოსლავიის დელეგაციის წინადადება კონფერენციაზე ალბანეთის მოწვევის შესახებ.

ამ საკითხის შემდგომი განხილვა გადატანილია კონფერენციის ხვალინდელ პლენარულ სხდომაზე.

9 აგვისტოს საღამოს პლენარული სხდომა

სსრ კავშირის დელეგაციის განცხადება

პარიზი, 9 აგვისტო. (საკუთ. სპეც. კორ.). კონფერენციის საღამოს პლენარულ სხდომაზე საბჭოთა დელეგაციის სახელით გამოვიდა ვიშინსკი, რომელმაც დასვა საკითხი კონფერენციის პლენარული სხდომების დღის წესრიგის შედგენის წესის შესახებ. მან ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ამჟამად ამ საქმეში სათანადო წესი არ არსებობს. არავინ იცის, ვინ ადგენს დღის წესრიგს, არავინ იცის როდის და როგორ სდგება იგი. კერძოდ, არავინ იცის, თუ როგორ შესდგა და საიდან გაჩნდა ამსაღამოინდელი სხდომის დღის წესრიგი.

დარბაზობა პარიზის საზავო კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურ ამხ. ვ. მ. მოლოტოვთან

პარიზი, 10 აგვისტო. (საკუთ.). გუშინ, 9 აგვისტოს, პარიზის საზავო კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა საბჭოთა კავშირის პარიზის საელჩოში დიდი დარბაზობა გამართა უცხოეთის დელეგაციების პატივსაცემად. ათასამდე უცხოელი მოღვაწე ესტუმრა საბჭოთა დელეგაციას, მათ შორის ამერიკის დელეგაციის ხელმძღვანელი ბირნსი, ინგლისისა—ალექსანდერი, აგრეთვე პარიზის საზავო კონფერენციაზე მყოფი ყველა სხვა დელეგაციის ხელმძღვანელები.

დარბაზობაზე აგრეთვე იყვნენ საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბიდო, საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეები ტორეზი, დიუკლო, ერიო და ბევრი სხვა, აგრეთვე საფრანგეთის ინტელიგენციის მრავალი წარმომადგენელი. საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ი. ვიშინსკი, უკრაინის დელეგაციის ხელმძღვანელი დ. მანუილსკი, ბელორუსიის დელეგაციის ხელმძღვანელი კ. ვ. კისელიოვი, სსრ კავშირის, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგაციების წევრები, სსრ კავშირის ელჩები ბოგომოლოვი, გუსევი, ნოვიკოვი, კოსტილიოვი.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 2 ტირაჟი 110,000. უე 00086